ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 1 – 2 დეკემბერი, 2018

№285 (7830)

ფასი: 60 თეთრი

„მოსახლეობა დაივიწყებს ზურაბიშვილს, მაგრამ არ დაივიწყებს ივანიშვილის დაპირებებს“

გვ.3

სალომე ზურაბიშვილმა რუსეთს უარი უთხრა გვ.2

გვ.4

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენი მთავარი მოთხოვნაა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა და მერე – ვადამდელი არჩევნები“

„ივანიშვილს ზურაბიშვილისთვის პრეზიდენტის პოსტის ყიდვა 300 მილიონი დაუჯდა“

გვ.2

ჯელალ ქიქავა: „ოცნებაზეა“ დამოკიდებული, იქნება თუ არა რევოლუცია“

შალვა შავგულიძე: „პრეზიდენტი ზურაბიშვილი ჩვენს სახელმწიფოებრიობას ვერ დააზიანებს“

გვ.4

გვ.2

„ევროპული საქართველო“ გაერთიანებული ოპოზიციის აქციას არ შეუერთდება

დავით ლორთქიფანიძე: „ნაციონალების რეიტინგი გეომეტრიული პროგრესიით დაიკლებს“

გვ.5

სამართალი

გვ.7

მოსამართლემ გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ ეკა გიგაურის სარჩელი არ დააკმაყოფილა

ეკა გიგაური სტრასბურამდე მივა

მკვლელობა ხორავას ქუჩაზე — დ.ღ. პატიმრობაში დატოვეს

„შვილების თვალწინ სახისა და თავის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი...“ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს 2 წელი მიესაჯა

ეკონომიკა

გვ.6

ვალების განულების სიის გამოქვეყნება შესაძლოა გადავადდეს — ფონდ „ქართუში“ ტელეფონს არ ილებენ

თბილისის ქუჩებში საახალწლო განათებები გამოჩნდა — ილუმინაციებში ნელს სულ 2.671.789 ლარი დაიხარჯება

პაატა საგარეიშვილი: „რკინიგზის სრული პრივატიზაციის შემთხვევაში, რუსეთის მიერ სატრანსპორტო მარყუჟი ამოქმედდება“

700.000 რეგისტრირებული კომპანიიდან რამდენი საწარმოა მოქმედი — საქსტატის მონაცემები

ISSN 1987-9385

7 ადვოკატი: „ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა“

6 სოსო არჩვაძე: „6,7-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა პოზიტიური ინფორმაციაა მოსახლეობისთვის და დამაიმედებელი შეტყობინება ბიზნესისთვის“

7 სენაკში მამაკაცს სახურავი დაეცა, აბაშაში ქარმა ხეები წააქცია

5 სამეგრელოში ახალი მრავალმილიონიანი ტურისტული მარშრუტი — „ტობავარჩხილის“ განვითარება გადაიდო

„ივანიშვილს ზურაბიშვილისთვის პრეზიდენტის პოსტის ყიდვა 300 მილიონი დაუჯდა“

ჯელალ ქიქავა: „ოცნებაზეა“ დამოკიდებული, იქნება თუ არა რევოლუცია“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ ვერ იქნება ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტი, ვინ მიაყენა შეურაცხყოფა პოლიციას, იქნება თუ არა რევოლუცია? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანობა და დემოკრატიის პრინციპების“ ხელმძღვანელი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.

— თქვენ დარწმუნებით აცხადებდით, რომ საპრეზიდენტო არჩევნებს გრიგოლ ვაშაძე მოიგებდა. შედეგი სხვანაირია და ალბათ უკმაყოფილო ხართ.

— რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო? ისევ ისე კარგ ხასიათზე ვარ. გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩება. არჩევნები ჩვენ არ წაგვიგია, არ წაგვიგია იმიტომ, რომ არჩევნები არ ჩატარებულა.

— აბა, 28 ნოემბერს რა ჩატარდა?

— რაც ჩატარდა, ეგი ყველაფერი იყო, არჩევნების გარდა. ნამდვილად არ მეგონა, ამდენი ბინძური ადამიანი თუ ცხოვრობდა ამ ქვეყანაში. მე ამბავს ბათუმის მაგალითზე მოვყვები და როგორც მეუბნებიან, ასეთივე ვითარება იყო მთელ საქართველოში.

28 ნოემბერს ყველა ნარკომანი და ძველი ბიჭი გარეთ იყო გამოყრილი. ისინი საარჩევნო უბნებთან იდგნენ და ხალხს აშინებდნენ. ეს ყველაფერი საზიზღრობა იყო.

— და შინება რაში გამოიხატებოდა?

— ამომრჩევლებს ეუბნებოდნენ, რომ ის ქალი უნდა შემოეხაზათ. არჩევნები ასე არ ტარდება. საქართველოში ეს მეთოდი არავის არ უკადრია.

— ასლან აბაშიძეს?

— არა, კაცო, რა ასლანი. ის ამნაირ ხალხს გვერდზე არ იკარებდა. მის დროს ძველი ბიჭები საარჩევნო უბანთან გაჩერებასაც კი ვერ გაბედავდნენ. ბიძინამ კი ეს ხალხი გვერდზე მოიყენა.

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამ ძველი ბიჭების გვერდით პოლიციელები დააყენეს. ამაზე მეტად

პოლიცია როგორ უნდა გააბანძო.

— პოლიციის გარდა, ძველი ბიჭებიც გაბანძდნენ. ისინი პოლიციელების გვერდით არასდროს დგანან.

— არ დგანან, მაგრამ ახლა დადგნენ და ამის შედეგს თავად „ოცნება“ მოიმკის და თან ძალიან მწარედ. „ქართული ოცნების“ წყალობით, პოლიციას და კრიმინალებს შორის კოჰაბიტაცია გაფორმდა.

ისე შორს წავიდნენ, რომ დამკვირვებლებად ნასამართლევებიც კი დანიშნეს. იმ ადამიანებს, ვისაც ოჯახის წევრი ციხეში ჰყავდა, სახლში აკითხავდნენ. ეუბნებოდნენ, ხმას თუ მოგვცემთ, დაკავებულს გავათავისუფლებთო.

გაერთიანებული ოპოზიცია სულ ვამბობდით, რომ ივანიშვილი ყველაფერზე წავიდოდა, მაგრამ ამდენს თუ იკადრებდა, არ გვეგონა. მაგი ახლა წავიდა ვა ბანკზე. თავი გამარჯვებულად კი მიაჩნიათ, მაგრამ ამის აღიარება ეშინიათ.

— რას გულისხმობთ?

— ეს ვითომ გამარჯვება მოკრძალებულად აღნიშნეს. ზეიმის ხასიათი არ აქვთ. არავინ არსად არ ჩნდება. ამ შემთხვევაში ადეკვატურად იქცევიან — ზეიმის მოწყობა რცხვენიათ.

ადრე ქუჩებში აღნიშნავდნენ ხოლმე გამარჯვებას, ახლა გარეთ არ გამოდიან. იციან, რომ ხალხი ქვებს ესვრის და შეაფურთხებს. ეს კი არავის არ უნდა.

სხვაგან არ ვიცი, როგორ არიან, მაგრამ ბათუმში საერთოდ არ ჩანან, ხმაც კი არ ისმის მათი.

— პრემიერმა ბახტაძემ თქვა, ახლა ზეიმის დრო არ არისო და იქნება ამიტომ არ ზეიმობენ?

— მერე რატომ არ არის ზეიმის დრო? დროს კი გამონახავდნენ, მაგრამ ხალხის გაღიზიანებას ერიდებიან. ჩვენ ყველას გვყავს მეგობრები ამ გუნდში და მათგან ვიცი, რატომაც არ ზეიმობენ. ისე, ეს ხალხი აღარაა ჩემი მეგობარი, მათ საქართველო გაყიდეს, ქვეყნის გამყიდველთან ვერასდროს ვიმეგობრებ.

— ისინი არ ზეიმობენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ოპოზიცია აპირებს ქუჩაში გასვლას.

— ძალიან კარგია, რომ აპირებს. აჭარის რეგიონიდანაც ჩამოვალთ ამ აქციაში მონაწილეობის მისაღებად.

ხალხს კონსტიტუციით აქვს აქციის გამართვის უფლება და ამ უფლებას აუცილებლად გამოვიყენებთ. ჩვენ აბსოლუტურად მშვიდობიან აქციას ვატარებთ. ვიღაც ხელის შეშლას თუ შეეცდება, მაშინ ყველაფერმა შეიძლება არაპროგნოზირებადი სახე მიიღოს.

ერთ რამეს წინასწარ გეტყვით, ქოცებს რუსთაველის გამზირზე ინაუგურაციას არ ჩავატარებინებთ.

— ეს დაახლოებით ისეთი განცხადებაა, 2011 წლის 26 მაისს რომ გააკეთა ნინო ბურჯანაძემ. ამბობდა, საკაკაშვილი რუსთაველზე სამხედრო აღლუმს ვერ ჩაატარებსო. ეს მერე ძალიან მძიმე შედეგით დასრულდა.

— ძალიან გთხოვთ, ბურჯანაძესთან ნუ გაგვაიგივებთ. ეგ ის ხალხია, სალომე პრეზიდენტად რომ აღიარეს. თავიდან ოპოზიციონერობას თამაშობდა, მაგრამ დაურეკეს თუ არა, ეგრევე აღიარა შედეგები.

— საიდან დაურეკეს?

— საიდანაც ურეკავენ — მოსკოვიდან. მაგანაც მაშინვე აღიარა სალომე პრეზიდენტად. მიულოცა და ეგი აღიარებაა, აბა რა არის.

— ბურჯანაძემ ისიც თქვა, ივანიშვილი ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას ინანებსო.

— ფაქტი ისაა, რომ სალომეს პრეზიდენტობა მიულოცა. რას ინანებს ივანიშვილი, ეგ ნაკლებად გვადარდებს. ჩვენ ის გვაინტერესებს, ვინ იდგება პრეზიდენტის ინსტიტუტის სათავეში.

— ისევ აქციას დავუბრუნდეთ. მიაღწევთ რამე შედეგს?

— ამ ქალის პრეზიდენტობა არ უნდა დავუშვათ.

— ის უკვე პრეზიდენტია.

— ჩემთვის არა და თუ მართლაც დაიწყო უფლებამოსილების შესრულება, ბათუმში მას არ გავახარებ.

— არგახარებაში რას გულისხმობთ?

— აქ როცა ჩამოვა, აქციას დავახვედრებ. მივალ და პირში ვეტყვი, რასაც მასზე ვფიქრობ. ეს მისთვის სასიამოვნო მოსასმენი არ იქნება.

ახლა ატრიალებენ მის ბოლო ინტერვიუს. რაღაც სხვანაირად ლაპარაკობს, მაგრამ ეს აღარაფერს შეცვლის. განაცხადა, მინდა ისეთი პრეზიდენტი ვიყო, რომელიც ქუჩაში დადის და სვამს ყავას. ვაი, იმ თბილისს, რომელიც მაგას ქუჩაში მშვიდად დაალევინებს ყავას.

— თბილისში მან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყავასაც მშვიდად დალევს ქუჩაში.

— პირველ ტურში თბილისში სხვა შედეგი დაიდო, მაგრამ მეორე ტურში ივანიშვილი ვა ბანკზე წავიდა. ყველაფერი იკადრა, რომ ის შედეგი დამდგარიყო, რაც დადგა.

ჩემთვის არჩევნების რეალური შედეგი არის ის შედეგი, რომელიც საზღვარგარეთ დადგა. იქ, სადაც ბიძინა ვერ ჩაერია, ყველგან დიდი უპირატესობით მოიგო გრიგოლ ვაშაძემ.

— მაგ ლოგიკით ვერც თელავში და რუსთავში უნდა ჩარეულიყო ბიძინა, ეს ქალაქებიც ვაშაძემ მოიგო.

— ვენაცვალე თელავსა და რუსთავს. ხალხი არ დაიშინა და არ გაიყიდა. იცით, რა იკადრა „ოცნებამ“? მათ კანონის უხეში დარღვევით გახსნეს სამაგიდო სიები, ამოაგდეს ტელეფონები. სუსის მეშვეობით დაიწყეს ამ ხალხის შეწუხება.

იცით, როგორი ხალხი გამოვიდა არჩევნების დღეს ბათუმში? სიკვდილსაც რომ დავიწყებული ჰყავს. სიკვდილის პირას მისული ადამიანები მიიყვანეს უბნებზე.

რამდენიმე ადგილას პირადობის მოწმობებზე დავახტით ქოცებს — ძველ პირადობებზე ახალი ლამინირება ჰქონდათ გაკეთებული.

— არჩევნებზე 750.000 ადამიანმა მოგცათ ხმა. თქვენს აქციაზე რამდენი ათასი კაცი შეიკრიბება?

— ჩვენ ნდობა 800.000-მდე ადამიანმა გამოგვიცხადა. დიდი მადლობა ყველას ამისთვის. აქციაზე, ბუნებრივია, ამდენი ადამიანი ვერ მოვა, მაგრამ 10.000 თბილისელიც რომ შეიკრიბოს, ეგეც საკმარისი იქნება.

— გამოვლენ თბილისელები ნაციონალების დაძახილზე?

— აქ ნაციონალების დაძახილი, ბიძინა ანდა ვაშაძე არაფერ შუაშია. აქ საქართველოს მომავალზეა ლაპარაკი. ნაცები, ქოცები, ბოცები მეორე პლანზე დგანან. ქვეყანა ხომ დაგვინგრიეს, ახლა ღრმა წარსულში გვაბრუნებენ.

— პორტალ „თაიმერის“ ინფორმაციით, ივანიშვილს ზურაბიშვილის გაპრეზიდენტება 2 მილიარდი ლარი დაუჯდა. რეალურია ეს თანხა?

— 2 მილიარდი არ დაუჯდებოდა. სადღაც 300-400 მილიონად იყიდა სალომესთვის პრეზიდენტის პოსტი.

— სულ თავისი ფული დახარჯა?

— უმეტესობა მისი ფული იყო, მაგრამ სხვებსაც დაახარჯია.

— მაგალითად, ვის?

— კარის ბიზნესმენები მრავლად ჰყავს და იმათ დაადებინა ფული. ეს ბიზნესმენები უამრავ შავ საქმეს აკეთებენ.

— დახარჯული ფულის ამოღებას არ შეეცდება?

— ჩვენი ჯიბეებიდან ამოიღებს ამ ფულს. ეგი ხომ ბიზნესმენი და ყაჩაღია, მაგან ფულის ამოღების მეტი კი არაფერი იცის.

— თქვით, რომ ინაუგურაციას არ ჩაატარებინებთ და ზურაბიშვილს პრეზიდენტად არ აღიარებთ. საერთაშორისო თანამეგობრობამ რომ სცნო მისი გამარჯვება, ამას რას უპირებთ?

— ინაუგურაციაზე ჩემი პირადი აზრი დავაფიქსირე. რაც შეეხება საერთაშორისო თანამეგობრობას, ისინი დარღვევებზეც ბევრს წერენ. საქართველოს პრეზიდენტობა თუ გინდა, ქართველმა ხალხმა უნდა გაღიაროს.

ივანიშვილი ისეა ჩაბღაუჭებული ამ ძალაუფლებას, მაგას არჩევნებს ვერ მოუგებ. ეგ კაცი არჩევნების გზით წამსვლელი არაა.

მაგას ფულით როგორ უნდა მოვუგოთ? მოვიყვანეთ 800.000, მოგვიყვანა 1.100.000. ვერაფერს ვერ მოუხერხებ ამას. ამ ჭიდილში ქვეყანა გვენგრევა თავზე. ივანიშვილი აუცილებლად უნდა შევაჩეროთ.

— რანაირად?

— რამენაირად.

— რევოლუციური გზით?

— რევოლუცია სტიქიურია. წინასწარ რევოლუციის დაანონსება უაზრობაა. ორ რევოლუციაში მაქვს მონაწილეობა მიღებული და არც ერთხელ არ ყოფილა რევოლუციის ანონსი.

ოპოზიცია ქუჩაში რომ გამოდის, ის არასდროს არ ითხოვს რევოლუციას. ეს ხელისუფლება გადადის ხოლმე რევოლუციაში. ამჯერადაც „ოცნებაზეა“ დამოკიდებული, იქნება თუ არა რევოლუცია.

ქოცების ნაწილი უკვე ხვდება, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ხომ ვნახეთ, რომ მათ გამარჯვებაც კი არ იზეიმეს. მართალია, სინდისი გარეცხილი აქვთ, მაგრამ მთლად გარეწრებიც კი არ არიან. ქოცების გვერდით იმიტომ დგანან, რომ ხელფასებს იღებენ და ოჯახის წევრების ტრუსიკებს ზრდიან ზომაში.

ხელისუფლებას დღეს გამარჯვებულად მოაქვს თავი, მაგრამ სინამდვილეში შეშინებულია.

— შეშინებული ხელისუფლების დამარცხება უფრო იოლია თუ უფრო რთულია?

— ამ ხელისუფლების დამარცხება არის იოლი. ამგენს მარტო 10-15 კაცი ჰყავთ. მხედველობაში იდეური ქოცი და ბიძინას მონა მყავს. დანარჩენები, როგორც კი სიტუაცია შეიცვლება, ეგრევე მიიმალებიან სადღაც. ბიძინა მათ თვალსაც კი ვერ მოჰკრავს.

— მაგრამ მას ძალიან ბევრი ფული აქვს.

— იცით, რამდენს ჰქონდა ფული? ფული მართლა ყველაფერი კი არაა. ეს ბიძინა ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, მაგრამ იმქვეყნად ვის წაუღია ქონება. იქ ფული რამეს რომ წყვეტდეს, კუბოს ჯიბეებს დააკერებდნენ. ფულით ყველაფრის ყიდვა არ შეიძლება.

— თქვენი თანამებრძოლები ამბობენ, რომ მან ეს არჩევნები სწორედ ფულით მოიგო.

— ეს არჩევნები ფულით და გაბოზებული ძველი ბიჭებით მოიგო, მაგრამ ტყუილად დახარჯა ამდენი თანხა — საქართველო სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად არ მიიღებს.

„ევროპული საქართველო“ გაერთიანებული ოპოზიციის აქციას არ შეუერთდება

დავით ბაქრაძე: „საზოგადოება გაიზარდა და აჩვენა, რომ ცვლილებებისთვის აუცილებელი აღარ არის ქუჩა“

შორენა მარსაგიშვილი

2 დეკემბერს გაერთიანებული ოპოზიცია რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციას გამართავს. აქციას ნაცმოძრაობის განაყოფი „ევროპული საქართველო“ არ შეუერთდება.

ეს მოსალოდნელიც იყო, ევროპელი ნაცები არც ფილარმონიაში გამართულ ნაცების შეკრებას დასწრებიან. საბოლოო გადაწყვეტილება მათ 30 ნოემბერს გა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მოსახლეობა დაივიწყებს ზურაბიშვილს, მაგრამ არ დაივიწყებს ივანიშვილის დაპირებებს“

სოსო ცინცაძე: „რიგითი ადამიანი მიხვდა, რომ თუ ხელისუფალს უჭირს, მე აუცილებლად დავჭირდები“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში მოსალოდნელ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, სალომე ზურაბიშვილი მე-5 პრეზიდენტი გახდა. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს, თქვენ რას ელოდებით?

– უცნაური იყო, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ივანიშვილი და სააკაშვილი და ზურაბიშვილმა გაიმარჯვა. ქართული პოლიტიკის ახალი ეტაპი ხვალიდან იწყება. ავტომატურად სალომე ზურაბიშვილი უკანა პლანზე გადავა. ჩატარდება ინაუგურაცია, შევა ორბელიანების სასახლეში და ჩათვალეთ, რომ პირველი მას თქვენ, ჟურნალისტები, დაივიწყებთ.

მოსახლეობა დაივიწყებს ზურაბიშვილს, მაგრამ არავინ დაივიწყებს ივანიშვილის დაპირებებს. ეს ამომრჩეველი არ გაჩერდება და ივანიშვილს სოციალური პირობების, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსთხოვს. პირველად მოხდა, რომ პოლიტიკოსმა თქვა „ერთ წელიწადში შევცვლი“, ასეთი იყო ივანიშვილის დაპირება. ერთ წელიწადში საკადრო ცვლილებები შესაძლებელი და სავსებით რეალურია, მაგრამ ცხოვრების დონის გაუმჯობესება შეუძლებელია.

– სარისკო დაპირებები იყო ივანიშვილის მხრიდან?

– შეუძლებელი დაპირებები იყო. ერთ წელიწადში რა უნდა მოასწროს?! ამიტომ ვაკეთებ აქცენტს დროზე. საკადრო ცვლილებები – კი ბატონო. შეუძლია, შეცვალოს პრემიერი, ეკონომიკის, განათლების მინისტრი და ა.შ. მაგრამ მშიერი ხალხის მაცივრები ხომ არ გაივსება ამით!

დღეს ოპოზიციის აქტივში არის 800-ათასიანი ელექტორატი. ეს არის ელექტორატი, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგია. რაც შეეხება მილიონზე მეტა ამომრჩეველს, რომელმაც ხმა მისცა ხელისუფლებას, მან სხვადასხვა მიზეზით მისცა. ზოგმა მომხიბლავი დაპირებით, ზოგმა იმით, რომ ვალების ჩამოჭრის მოლოდინშია. ანუ ეს მილიონზე მეტი ამომრჩეველი არ არის „ოცნების“ ერთგული, იდეური ამომრჩეველი.

ეს ყველაფერი წინაპირობაა იმის, რომ მძიმე კვალი დატოვოს ამ წელიწად-ნახევარში, ახალ არჩევნებამდე ამ ყველაფერმა. ახლა ხალხი ივანიშვილისგან არანაირ სამართლიანობის აღდგენას არ ელოდება, ახლა მშიერი ხალხი დანაყრებას ელოდება.

– რეალური ცვლილებების გარეშე „ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნებზე გაუჭირდება?

– რასაკვირველია, მაგრამ შეუძლებელია

ამ დაპირებების შესრულება, ყველაფერი ბიუჯეტზეა დამოკიდებული. ამიტომ იყო ეს სარისკო დაპირებები.

მართალია, დღეს ოპოზიციამ წააგო, მაგრამ, თუ სერიოზულ შეცდომებს არ დაუშვებს, მას წელიწად-ნახევრის შემდეგ მეტი შანსი ექნება. ეს დრო მთლიანად ოპოზიციის სასარგებლოდ და ხელისუფლების საწინააღმდეგოდ იმუშავებს. ეს ელემენტარული პოლიტიკის ლოგიკაა.

ამ ეტაპზე ოპოზიციის დამარცხება მე საერთოდ არ გამკვირვებია. ოპოზიცია სახელისუფლებო მანქანასთან ტოტალურად, პირისპირ დარჩენილი ვერ გაიმარჯვებდა. რასაც ხელისუფლებას ოპოზიცია ბრალად სდებს, იმის ნახევარიც რომ მართალი იყოს, აქ უკვე არათუ დემოკრატიაზე საუბარი, არამედ თავისუფლად სუნთქვაზეც საუბარი ზედმეტი იქნებოდა, თუმცა, დარღვევები, ამომრჩევლის მოსყიდვა რომ იყო, ამაში ორი აზრი არ არის.

შეცდომა იყო სააკაშვილის გააქტიურება წინასაარჩევნო პერიოდში ტელეეკრანებიდან. ოპოზიცია მთელი წინასაარჩევნო კამპანია სწორად იქცეოდა, როდესაც ცდილობდა სააკაშვილისგან გამიჯვნას, მაგრამ არასწორად იქცეოდა სააკაშვილი, რომელიც ყველას უმტკიცებდა თავისი გამოსვლებით, რომ ლიდერი ისევ ის არის.

როგორც ჩანს, ვერ გაუბედეს, რომ ეთქვათ, მეორე ტურის წინ არ გამოჩენილიყო. საერთოდ უნდა გაჩუმებულიყო, ის კი თავისი გამოსვლებით ვაშაძესთან ახდენდა ასოცირებას, რის გამოც ვაშაძე მოსახლეობის თვალში გასულ 9 წელთან გახდა ასოცირებული.

– სააკაშვილის განცხადებაზე დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებით ოპოზიციამ თქვა, რომ ეს ერთი კაცის განცხადებაა. მოგვიანებით ეს შეიცვალა და ოპოზიცია არჩევნების შედეგებს არ ცნობს, არჩეულ პრეზიდენტს არ აღიარებს და ქუჩაში გადის. რას მიაღწევენ?

– ეს არის ბეწვის ხიდი. ძალიან რთული გზა ელოდება წინ ოპოზიციას. თუ ისინი ოდნავ მაინც გასცდებიან კანონს, კონსტიტუციის ჩარჩოებს, მაშინ შინ და გარეთ ყველას მიეცემა იმის თქმის საფუძველი, რომ მათ უნდოდათ რევოლუცია, გადატრიალება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ეს მათ მხარდამჭერებზეც არის დამოკიდებული.

სააკაშვილი დღეს ნანობს, ივანიშვილთან საერთოდ რატომ ჰქონდა ურთიერთობა. ივანიშვილი მას კვლავ იყენებს, როგორც სისხლიანი 9 წლის ავტორს, თუმცა, ერთი წლის შემდეგ, არა მგონია, ამ ფაქტორმა იმუშაოს, როგორც დეპუტატმა ჭიჭინაძემ იხუმრა, მგელი მოდის, მგელი მოდის – ეს იყო ბოლო მგელი.

– ივანიშვილი საკადრო ცვლილებებს განახორციელებს მთავრობასა და პარტიაში?

– დიახ, სწორს ბრძანებთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ თეორიულად არის მარტივად შესასრულებელი დაპირება.

– რატომ, გარემოცვას ვერ მოიშორებს?

– რა თქმა უნდა! ძალიან ძლიერი პოლიტიკური ნებაა საჭირო. თან ჩანს, რომ ივანიშვილი ასე მარტივად ვერ მოიშორებს ამ გარემოცვას. შეძლებს კი ამ ხალხის გაშვებას?!

– რატომ, მათი მძევალია?

– ბევრი ფაქტორი მუშაობს, ასე მარტივი არ არის. რა გამოდის, რომ მთლიანად ეს გარემოცვა უნდა მოიმდუროს, გადაიმტეროს. პოლიტიკურ სისტემას წელიწად-ნახევარში ვერ ცვლიან, სამწუხაროდ. ეს ვერავინ შეძლო და, არა მგონია, ახლა ივანიშვილმა შეძლოს.

– ივანიშვილმა თქვა, რომ პარტიის გადახალისება მოხდება.

– დიახ, თქვა, მაგრამ ეს იქნება ალბათ უფრო ზედაპირული ცვლილებები. პირველ ტურში, როდესაც 53% დაუდეს და გააბრიყვეს, ახლა მთელ ჯავრს მათზე იყრის, მაგრამ ეს რეალურად არაფერს შეცვლის.

ახლა ყველაზე საინტერესო პოლიტიკური პროცესი იწყება. მოდით, ასე ვთქვათ: ახალი პოლიტიკური ხვეული თავისი შლეიფით და ეს არავითარ კავშირში არ იქნება სალომე ზურაბიშვილთან, რადგან მაქსიმუმ ერთი თვის შემდეგ ის აღარავის ემახსოვრება.

მარგველაშვილი მაინც განსხვავებული იყო, ის ვეტოს ადებდა კანონპროექტს, უმრავლესობას ეწინააღმდეგებოდა, მთავრობას სანერვიულოს აძლევდა, ერთი სიტყვით, ინტრიგა იყო.

ზურაბიშვილთან ინტრიგა არ იქნება. ერთი თქვენ, ჟურნალისტებს, შეგეძლებათ შეახსენოთ, მაგალითად, რატომ არ დადის ფეხით სამსახურში, როგორც დაგვპირდა. მართლა ფეხით ხომ არ ივლის?! მსოფლიოში არც ერთ პრეზიდენტს ფეხით არ უვლია სამსახურში და ზურაბიშვილი ივლის?!

ამით მე იმის თქმა მინდა, რომ მთავარი პოლიტიკა სულ სხვაგან იქნება. ამ არჩევნებმა ერთი მნიშვნელოვანი კვალი ნამდვილად დატოვა: მოსახლეობა, ხალხი მიხვდა, რომ ძალაუფლება მის ხელშია, რომ ის არის ძალაუფლების წყარო. რიგითი ადამიანი მიხვდა, რომ თუ ხელისუფალს უჭირს, ის აუცილებლად დასჭირდება. ეს მართლაც კარგი იყო.

„ევროპული საქართველო“ გაერთიანებული ოპოზიციის აქციას არ შეუერთდება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მართულ პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს.

გადაწყვეტილება დავით ბაქრაძემ გამოაცხადა. მეოცნებეებს სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებაც კი არ გახარებიათ

მართალია „ევროპული საქართველო“ ქუჩაში არ გამოვა, მაგრამ არჩევნების შედეგებს არ ცნობენ. ამასთან მიაჩნიათ, რომ სიტუაცია მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს.

– კიდევ ერთხელ დადასტურდა ყველაფერი, რაც ამ დღეებში ჩვენმა საზოგადოებამ იხილა, ზეწოლა, მოსყიდვა, ძალადობა, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, კრიმინალურ სამყაროსთან შეკვრა და კენჭისყრის ფარულობის დარღვევა. ყველა ეს პრობლემა და მისი მასშტაბი მიუთითებს იმას, რომ არჩევნების მეორე ტური ვერ ჩაითვლება მოქალაქეების თავისუფალი ნების გამოხატვად და ამას ადასტურებს არასამთავრობო სექტორი და კრიტიკული დასკვნები, რაც უპრეცედენტოა არჩევნებთან მიმართებაში.

ამიტომ ჩვენი შეფასებითაც, რაც მთლიანად ემთხვევა საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებას, საქართველოს ჰყავს მოქმედი პრეზიდენტი, რომელსაც არ გააჩნია დემოკრატიული მანდატი, მიღებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით. საზოგადოება ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა და აჩვენა, რომ ცვლილებებისთვის აუცილებელი აღარ არის ქუჩა, რევოლუცია და ბარიკადი. ჩვენი ხალხი ძალიან მშვიდად, გააზრებულად, საარჩევნო ყუთებთან, არჩევნების გზით მზად არის ხელისუფლების შესაცვლელად, როგორც ეს ხდება განვითარებულ დასავლურ დემოკრატიაში. ამას სჭირდება შესაბამისი პირობების შეცვლა. ჩვენი პოლიტიკური ბრძოლის გეგმა იქნება პირობების შექმნა, რომ საქართველოში ხალხმა არჩევნების გზით გამოხატოს საკუთარი ნება და შეცვალოს ხელისუფლება, – განაცხადა ბაქრაძემ.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერის თქმით, გადაწყვეტილების აღსრულებისთვის მთავარი კომპონენტი იქნება საარჩევნო სისტემის შეცვლა და დაუყოვნებლივ გადასვლა პროპორციულ ან რეგიონულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე.

ამას დავით ბაქრაძის აზრით, უნდა მოჰყვეს პარლამენტის არჩევნები. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია ასევე საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის შეცვლა.

საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში

„ევროპულმა საქართველომ“ გრიგოლ ვაშაძეს დაუჭირა მხარი. გაჩნდა განცდა, რომ ნაციონალები ისევ შეერთდნენ. დავით ბაქრაძისთვის გაუგებარია, რატომ გაჩნდა ასეთი განცდა.

– ჩვენ მკაფიოდ განვაცხადეთ პირველი ტურის შემდეგ, რომ მეორე ტურში მხარს დავუჭერდით გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს, ეს იქნებოდა მხარდაჭერა მეორე ტურისთვის და არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა მეორე ტურის შემდეგ ერთიან პოზიციებზე რჩება, – აღნიშნა ბაქრაძემ.

სალომე ზურაბიშვილმა რუსეთს უარი უთხრა

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთიდან წამოსულ გზავნილებს საქართველოსთან ურთიერთობის თაობაზე საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა პასუხი გასცა. ბი ბი სი-სთვის მიცემულ ინტერვიუში სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მოსკოვთან დიალოგს არ აპირებს.

სალომე ზურაბიშვილმა უარყო უცხოური მედიით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი გაპრეზიდენტების შემდეგ ევროპასა და რუსეთთან დაბალანსებულ პოლიტიკას გაატარებს.

– ჩემზე შეცდომით ამბობდნენ, რომ ბალანსი მინდა. ეს ფეიკნიუსი იყო, – განმარტა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა.

რუსეთის მიმართ თავისი პოზიცია სალომე ზურაბიშვილმა ახსნა მოსკოვის მოქმედებებით საოკუპაციო ხაზთან, საიდანაც ადამიანებს იტაცებენ, ასევე – რუსეთის ქმედებებით უკრაინაში.

მისი თქმით, საქართველო პროევროპული ქვეყანაა და იგი დადგება დასავლეთის გვერდით.

ამ განცხადებას წინ უძღოდა რუსეთის მაღალჩინოსნების გამოსვლები.

კერძოდ, პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ცნობებს საქართველოდან, სადაც გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური. კრემლში ცნობად და ფაქტად მიიღეს კანდიდატ სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება.

ოკუპანტი სახელმწიფოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რუსეთი და საქართველო რჩებიან ერთმანეთის ახლობლებად, მაგრამ ქვეყნებს შორის კავშირები ყველაზე კარგ დონეზე არ არის.

მანამდე გზავნილები გაახმიანეს რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინ კოსაჩოვმა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა.

კოსაჩოვის თქმით, იგი რუსეთის მიმართულებით მკვეთრ ცვლილებებს არ მოელის, მაგრამ ითვალისწინებს, რომ სალომე ზურაბიშვილი გამოცდილი და პრაგმატული პოლიტიკოსია. ამიტომ იმედოვნებს, რომ დიალოგისთვის სივრცე არ შემცირდება მაინც. დიალოგი ორივე ქვეყნის ინტერესს შეესაბამება.

საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგის იმედი ასევე გამოთქვა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე გრიგორი კარასინმა, რომელიც ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრებზე საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ და სავაჭრო საკითხებს განიხილავს.

საქართველოს საზოგადოების ნაწილი საარჩევნო პერიოდში შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ კარასინი საქართველოს მომავალ პრეზიდენტთან დიალოგს უკვე აანონსებდა, რაც საქართველოს მხრიდან ახალ დათმობებად მიიჩნეოდა.

ჯერჯერობით, ახლად არჩეული პრეზიდენტი რუსებთან კონტაქტებს არ გეგმავს. „ტვ პირველთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ინაუგურაციის შემდეგ, იანვარში ეწვევა ბრიუსელს, ასევე ჩავა ავღანეთში, სადაც უმაღლესი მთავარსარდლის რანგში მოინახულებს ავღანეთის მისიაში მყოფ ქართველ სამხედროებს.

ექსპერტების აზრით, სალომე ზურაბიშვილს საქართველოს საზოგადოებაზე გავლენის უფრო მეტად გაზრდის დიდი შანსი აქვს, ხოლო ევროსტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავებაში მის პოტენციალზე დიდი ხანია, საუბრობენ.

მამუკა გამყრელიძე: „ჩვენი მთავარი მოთხოვნაა საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა და მერე — ვადამდელი არჩევნები“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ოპოზიციური გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

— ბატონო მამუკა, ოპოზიცია არ აღიარებთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებსა და ახალ პრეზიდენტს. 2 დეკემბერს რუსთაველზე მასშტაბური აქცია დააანონსეთ და ითხოვთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. რატომ არ ცნობთ შედეგებს, რა პრეტენზიები გაქვთ?

— დავიწყოთ არჩევნებით. ეს არჩევნები იყო უკიდურესად არასამართლიანი. არჩევნების გაყალბება დაიწყო ბევრად უფრო ადრე, ვიდრე არჩევნების დღეს.

— რას გულისხმობთ?

— უზარმაზარი განსხვავება ფულად რესურსებში, ადმინისტრაციული რესურსის მაქსიმალური და გულისამრევი ჩარევა, ყველგან დაშინება, ხალხის მოსყიდვა უღირსი მეთოდებით.

ჩემი თვალით რომ არ მენახა, ვერც დავიჯერებდი, საჭმელზე იყიდებოდა ხალხი. საჭმელი მოუტანეს ხალხს უბნებზე, აჭმევდნენ და ამის სანაცვლოდ ხმის მიცემას სთხოვდნენ მათ სასარგებლოდ.

კი, მართლა უჭირს ხალხს, მაგრამ ასე არ უნდა დაამცირო, ასე მიწასთან არ უნდა გაასწორო ადამიანი. იქ კი არ უნდა აჭამო, უბანზე, არამედ უნდა მისცე საშუალება, რომ რაღაცა ორი კაპიკი იშოვოს და იცხოვროს. გაჭირვებულ ადამიანს ბევრს ვერაფერს მოსთხოვ, მას იმდენად უჭირს, რომ თანახმაა ამაზე. ეს იყო არნახული გასრესა ქართველი ხალხის.

— ბიძინა ივანიშვილის გააქტიურება ბოლო პერიოდში, მისი დაპირებები, ესეც მოსყიდვა იყო ამომრჩევლის?

— ბანკებში ვალების დაფარვა რასაც ჰქვია, ნუთუ ეს მოსყიდვად არ ითვლება?! სასამართლოები ამას თუ არ მიიღებენ მოსყიდვად, ეს უკვე აღარაფერში წერია. ვიღაცა კერძო პირი იხდის ამ ვალებს თუ ბიუჯეტიდან აპირებენ გადახდას?! ზუსტად არ ვიცი, როგორ ხდება, რაც არ უნდა იყოს, ამ ხალხის ფული კი არ გადაიხადეს, რეალურად ბანკებს გადაუხადეს ფული.

— ბანკებს რატომ გადაუხადეს?

— იმიტომ, რომ რეალურად ბანკებს ეს ფული დაკარგული ჰქონდათ. ეს იყო ისეთი კრედიტები, რომელთა დაბრუნების შანსი არ იყო. აიღეს და ბანკებს აჩუქეს ეს ფული. ივანიშვილი ხალხს არაფერს უკეთებს. ეს კაცი უკეთებს იმ ერთეულ ადამიანებს, რომლებიც ნაყიდი ჰყავთ, ეს არის მსხვილი ბიზნესი, რომელიც ბოლომდე ჰყავთ დამონებული.

— ანუ თქვენ ამბობთ, რომ წინასწარ იყიდეს ხმები?

— რა თქმა უნდა, ბევრად ადრე დაიწყო გაყალბება. აქ იყო მაქსიმალურად ქუჩის ჩართვა ამ არჩევნებში, კრიმინალი მართავდა სიტუაციას. ქუჩის ბიჭებს მიჰყავდათ პარადი, რომლებიც პატრულირებდნენ საარჩევნო უბნებთან, აშინებდნენ ხალხს.

— შეშინება რით გამოიხატებოდა?

— შეიძლება, მე ვერ შემაშინეს და კიდევ ჩემნაირები, მაგრამ იქ ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც არ არის ძლიერი ფიგურა არც ფიზიკურად და არც მორალურად და მათ უჭირთ გამკლავება ამ ხალხთან, ეშინიათ. განსაკუთრებით ეს რეგიონებში ხდება. ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ამ მოძველბიჭო ელემენტებს როგორც კი რაღაცას ეტყოდი, პოლიცია ჩნდებოდა იმწუთშივე იქ და იცავდა მათ.

— ამით რის თქმა გსურთ?

— იმის, რომ რეალურად მოხდა პოლიციისა და სახელმწიფო ინსტიტუციების კრიმინალთან შეზრდა. იქ ჩართულნი იყვნენ მაყურებლები. მაყურებელი რომ კვლავ გაჩნდა ჩვენს ცხოვრებაში, ეს მოხდა 2012 წლის შემდეგ. რეალურად ხდება შეზრდა სახელმწიფო ინსტიტუტების კრიმინალთან. რას მივიღებთ და რამდენად ნორმალური სიტუაცია იქნება, მე ვერ გეტყვით. რომ ზეიმობენ და გაიძახიან, გავიმარჯვეთ და ჩვენი სასარგებლო შედეგი მივიღეთო, რა შედეგი მიიღეს?! მიიღეს სახელმწიფო, რომელსაც ენგრევა ინსტიტუციები. ეს გამარჯვებაა?!

— ჩვენ მოვისმინეთ აღშფოთებული მიხეილ სააკაშვილის მოწოდებები, რომელიც დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდებდა პოლიციას, ჯარს, მის მომხრეებს კი — ქუჩაში გამოსვლისკენ. გაიზიარეს გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერებმა მისი მოწოდებები?

— სააკაშვილს ზოგადად ახასიათებს წინასწარ ლაპარაკი იმისა, რაც შეთანხმებული არ არის შტაბთან და ოპოზიციასთან მთლიანად და მერე რაღაცა უხერხული მდგომარეობა იქმნება ხოლმე. ეს ერთხელ და ორჯერ არ მომხდარა, სამწუხაროდ. ასეთი ადამიანია და უნდა მივეჩვიოთ. ის სხვა ტემპში ცხოვრობს. იმიტომ იყო ის რეფორმები ასეთი სწრაფი და მკვეთრი მაშინ.

— ანუ იზიარებთ თუ არ იზიარებთ?

— მოდით, ასე ვთქვათ — დღეს გაერთიანებული ოპოზიცია ცდილობს, იმუშაოს ბევრად უფრო დაფიქრებულად და რაღაცნაირად შეთანხმებულად, იმიტომ, რომ იქ ბევრი სხვადასხვა პოლიტიკური ძალაა, მარტო ერთი პოლიტიკური ძალა არ არის. ამიტომ ეს შეუთანხმებელი გამოსვლები და მესიჯები მცირე უხერხულობას ქმნის.

ის, რაც არ გაუღერდება შტაბის მხრიდან, გაერთიანებული ოპოზიციის მხრიდან, შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც ერთი კერძო პირის გამოსვლა.

— ითქვა, რომ იკრიბებით 2 დეკემბერს რუსთაველზე, აქცია უკვე დაანონსებულია და ითხოვთ საპარლამენტო არჩევნებს. თუკი საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდით და დაიდო „ოცნების“ სასარგებლო შედეგი, რა გარანტია გაქვთ, რომ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს მოიგებთ?

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვითხოვთ არა უბრალოდ არჩევნებს, არამედ საარჩევნო სისტემის შეცვლას. იქ არის უპირველეს ყოვლისა გაუღერებული საარჩევნო სისტემის ცვლილება.

— „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ეს რამდენად მოხერხდება?

— ხალხმა უნდა მოითხოვოს. ხალხმა უნდა გაიგოს ის, რომ ამ საარჩევნო სისტემის პირობებში, რომელიც თავს მოგვახვია „ქართულმა ოცნებამ“ უკანასკნელ ხანებში, აბსოლუტურად გამორიცხულია რაიმე შედეგის მიღწევა და შედეგი ყოველთვის იქნება ასეთი. ყოველთვის მოიგებს, რადგან ცესკოში ათი წევრი ჰყავს ერთის წინააღმდეგ.

ამიტომ აუცილებელია საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა, ეს უნდა მოხდეს, ამის შემდეგ უნდა ჩატარდეს არჩევნები და ჩვენ უნდა მივიღოთ სამართლიანი შედეგი.

— ეს აქციები ერთჯერადი ხასიათის იქნება თუ პერმანენტულ სახეს მიიღებს? ან ეს ყველაფერი ქაოსში ხომ არ გადაიზრდება?

— არავითარ შემთხვევაში ქაოსი არ იქნება. ჩვენ არ შევქმნით ისეთ სიტუაციას, რომელიც დააზარალებს ქვეყანასა და ხალხს. ყველაფერი ხალხის გადასაწყვეტია. ჩვენი მხარდამჭერი 800 ათასზე მეტი ადამიანია. ეს არ არის ცოტა, ეს ძალიან დიდი რიცხვია. აი, ამ 800 ათასმა ადამიანმა უნდა გადაწყვიტოს, რა სურს და როგორ სურს.

ჩვენ მათ არაფერს დავაძალებთ. ჩვენ ვითხოვთ მათ მხარდაჭერას არა მარტო არჩევნების, არამედ მოთხოვნების სახით. დემოკრატიაა, ხომ? ანუ ხალხის მმართველობაა.

— ანუ აპირებთ, ქუჩიდან მოითხოვოთ ეს ყველაფერი?

— მოვითხოვთ ყველგან, იქ, სადაც გვაქვს ტრიბუნა. ეს იქნება ქუჩაშიც, ეს იქნება პარლამენტშიც. სადაც გვექნება ამის შესაძლებლობა, ყველგან მოვითხოვთ, რომ შეიცვალოს კანონმდებლობა და დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები, არჩევნები, რომელიც მოგვცემს რეალურ და სამართლიან სურათს.

შალვა შავგულიძე: „პრეზიდენტი ზურაბიშვილი ჩვენს სახელმწიფოებრიობას ვერ დააზიანებს“

„ოპოზიციის აქციას არ შევუერთდებით, დესტაბილიზაცია არ ემსახურება სახელმწიფო ინტერესებს“

იაგო ნაცვლიშვილი

გაერთიანებული ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არ აღიარებს, ითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსა და მის ჩატარებას პროპორციული სისტემით. ამ მოთხოვნით 2 დეკემბერს ოპოზიცია რუსთაველზე საპროტესტო აქციას გეგმავს.

იზიარებს თუ არა მათ მოთხოვნებს და როგორ აფასებს ჩატარებულ არჩევნებს? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე შალვა შავგულიძეს ესაუბრა:

— როგორ აფასებთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს?

— ეს იყო ძალიან ცუდი არჩევნები, აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი არჩევნების დემოკრატიულობის თვალსაზრისით ბოლო პერიოდში ჩატარებულ არჩევნებს შორის. გამოყენებული იყო სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც მიუღებელია დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნებისთვის. არ პასუხობს ამ ტესტს და სტანდარტს.

ეს იყო ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, დიდი ფულის აშკარა მონაწილეობა არჩევნებში სხვადასხვა სახით. ვთქვათ, ეს იყო საჩუქრების დარიგება. მოსყიდვის ფაქტები, ეს იყო კრედიტების ჩამოწერის შეთავაზება.

არჩევნებს თან ახლდა ძალადობრივი ფონი, ასევე ხელისუფლების მხრიდან. გამოყენებული იყვნენ კრიმინალური ელემენტები და მათი გავლენა, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა. ხელისუფლებამ გამოიყენა ფორმალურად და იდეოლოგიურად განსხვავებულ პლატფორმაზე — პრორუსულ პლატფორმაზე მდგომი პარტიის აქტივობა და „ქართული ოცნება“ დაეხმარა „პატრიოტთა ალიანსს“, რათა ამ პარტიის სახელით ჩატარებულიყო მრავალრიცხოვანი მიტინგი და ამით „პატრიოტთა ალიანსის“ მცირედი სეგმენტიც მიემატებინა თავისი აქტივისათვის.

ეს არჩევნები იყო უკან გადადგმული ნაბიჯი და ამაზე მეტყველებს საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი წარმომადგენლების შეფასებები, მაგრამ ეს არჩევნები მაინც ითვლება შემდგარ არჩევნებად. ასეთი შეფასება აქვს საერთაშორისო მხრიდანაც.

ეს იყო ცუდი არჩევნები, მაგრამ ეს არ განაპირობებს ამ არჩევნების არაღიარებას და მის არალეგიტიმურად ცნობას.

— გაერთიანებული ოპოზიციის განცხადება, რომ არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ, არასწორად მიგაჩნიათ?

— პოლიტიკა უნდა იყოს რეალური, რეალობა კი ისეთია, რომ ჩვენმა მეგობარმა ქვეყნებმა ეს არჩევნები აღიარეს. მოვისმინეთ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაც, რომ ისინი ელოდებიან საქართველოს ახალ პრეზიდენტთან თანამშრომლობას, რომ ეს ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას.

— რას ელოდებით თქვენ სალომე ზურაბიშვილისგან?

— იცით რა? მისგან დიდს არაფერს ველოდები, ისევე, როგორც იმ პოლიტიკური ძალისგან, რომელმაც ასე იძულებით და ძალადობით გახადა ის პრეზიდენტი. მაგრამ არც იმას ვეღი, რომ სალომე ზურაბიშვილი შეძლებს არაღიარების პოლიტიკისთვის დიდი ზიანის მიყენებას დამოუკიდებლად.

ჯერ ერთი, არ ვიცი, რამდენად გააგრძელებს ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის დამაზიანებელი განცხადებების გაკეთებას, რაც უკვე გააკეთა კამპანიის დროს. ომის დაწყების დაბრალება საქართველოსთვის და ა. შ.

იმედი მაქვს, რომ ის ამას ვეღარ და აღარ გააგრძელებს პრეზიდენტის რანგში, მაგრამ თუ ის ამ გზას დაადგება, ეს არ იქნება მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის პასუხისმგებლობა. ქვეყნის პოლიტიკას განსაზღვრავს და აღასრულებს ხელისუფლება. თუ პრეზიდენტის უფლებები ასცდება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიციებს, ბევრი მექანიზმი არსებობს, რომ პრეზიდენტს არ მიეცეს ასეთი დამაზიანებელი პოლიტიკის განხორციელების საშუალება.

თუ „ქართული ოცნება“ შეეცდება, რომ რაიმე ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი საქმე გააკეთოს პრეზიდენტ ზურაბიშვილის ხელით, ეს მას არ გამოუვა, პასუხისმგებლობა მასზე იქნება.

— ზურაბიშვილი საკმაოდ ხისტი პოლიტიკოსია, ხომ არ ფიქრობთ, რომ შესაძლოა მანაც, მარგველაშვილის მსგავსად, უარი თქვას „ოცნების“ და ივანიშვილის მითითებების შესრულებაზე?

— არ მინდა ახლა მე ვიმარჩიელო ისეთ საკითხებზე, როგორი ხასიათი აქვს ქალბატონ სალომეს და როგორ მოიქცევა. შესაძლოა, რაღაც საკითხებში ჰქონდეს თავისი პრეტენზიები და შეხედულებები, მაგრამ ზოგადად არ მგონია, რომ მისი პოლიტიკა „ოცნების“ პოლიტიკასთან წინააღმდეგობაში წავიდეს.

პრეზიდენტ მარგველაშვილს აყვედრიდნენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა დანიშნა პრეზიდენტადო, მაგრამ თუ ვინმეს დანიშვნა მოხდა, რეალურად ეს იყო სალომე ზურაბიშვილის დანიშვნა „ოცნების“ ხელისუფლების მიერ.

ადამიანური ფაქტორიც არის, რომ არ წავიდეს წინააღმდეგ იმ გუნდის მიერ, რომელმაც დანიშნა. ისე დანიშნეს პრეზიდენტად, რომელსაც პრაქტიკულად მეორე ტურის განმავლობაში არც კი აჩენდნენ და შედეგები აჩუქეს სალომე ზურაბიშვილს. ასე რომ, არა მგონია, დიდი წინააღმდეგობა გაჩნდეს მათ შორის.

— ხომ არ შეუერთდებით იმ აქციას, რომელიც გაერთიანებულმა ოპოზიციამ დააანონსა?

— იმ მოთხოვნებს ჩვენ არ ვიზიარებთ და არ შევუერთდებით. ჩვენ ვამბობთ, რომ ცუდი არჩევნები იყო, მაგრამ ცუდ არჩევნებს კიდევ დესტაბილიზაცია რომ დაემატოს ქვეყანაში, თან დესტაბილიზაცია, რომელიც არ იქნება მიმართული პოზიტიური შედეგის მიღებაზე, მაშინ როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა აღიარებს შედეგებს და მზად არიან დაგვეხმარონ ევროინტეგრაციის გზაზე, ამ ვითარებაში დამატებითი დესტაბილიზაციის შემოტანა არ ემსახურება ქართული სახელმწიფოს ინტერესებს. აქედან გამომდინარე, აქციაში არ მივიღებთ მონაწილეობას.

ვიზიარებთ პოზიციას და თავადაც არაერთხელ დაგვიფიქსირებია, რომ საჭიროა მთლიანად პროპორციული სისტემის მოთხოვნა და მთლიანად საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება.

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას თუ იზიარებთ?

— ჩვენ ასევე არ ვიზიარებთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნას. არ არის ამის საჭიროების ობიექტური საფუძვლები. პირიქით, სჯობს, კონსტიტუციურ ვადაში ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები. იმიტომ, რომ ვხედავთ, რამდენად მზარდია ქართულ საზოგადოებაში მოთხოვნა ახალ პოლიტიკურ ძალაზე, საზოგადოებას რამდენად აღარ სურს არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის. ვგულისხმობ, „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას.

ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას სჭირდება გარკვეული დრო. ხელოვნურად ცაიტნოტური სიტუაციის ამომრჩევლისთვის თავს მოხვევა ხელს შეუშლის გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში.

ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა აწყობს ნაციონალებს. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ასე ცუდად ჩატარებული არჩევნებისა, მათ მაინც 40% მიიღეს. შესაბამისად, ამის მოთხოვნა მათ აძლევს ხელს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

დავით ლორთქიფანიძე: „ნაციონალების რეიტინგი გეომეტრიული პროგრესით დაიკლებს“

გულიკო ბალაძე

არჩევნების ციებ-ცხელება დამთავრდა. „ოცნების“ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა გაიმარჯვა. რა მესიჯები გაუგზავნა ამ არჩევნების შედეგებით საზოგადოებამ ხელისუფლებას? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობასთან“ მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე საუბრობს.

– ბატონო დავით, არჩევნების ციებ-ცხელება დამთავრდა. როგორ აფასებთ შედეგებს?

– არჩევნების შედეგებს ცალსახად დადებითად ვაფასებ. თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა სალომე ზურაბიშვილს მივულოცო გამარჯვება.

– არ გეშინოდათ, რომ შეიძლებოდა თქვენი მხარდაჭერილი კანდიდატი დამარცხებულიყო?

– არა. გულწრფელად გეტყვით, რომ არანაირი შიში არ მქონდა. იმასაც გეტყვით, რომ არჩევნებამდე ორი დღით ადრე მეგობრებმა საანძლეოც კი დავდეთ და მოვიგე. ყველამ დავწერეთ ჩვენ-ჩვენი პროცენტი, პლუს-მინუს 3% ცდომილებით. მე დავწერე 58,61%. სალომეს გამარჯვება მოსალოდნელი იყო. ჩვენ ირგვლივ ძალიან ბევრი ადამიანი პირველ ტურში არჩევნებზე არ მივიდა იმის გამო, რომ ან ჰქონდათ განცდა, სალომე მაინც გაიმარჯვებდა, ან ეგონათ, გააყალბებდნენ და ხელისუფლების მხარდაჭერილი კანდიდატი მაინც გავიდოდა, ანდა გაბრაზებულები იყვნენ.

გაბრაზებულები უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე ისეთები, ვინც ფიქრობდა, ხელისუფლება გააყალბებდა და გაიმარჯვებდა. ერთ მხარეს იყო დამნაშავეების, მკვლელებისა და მწამებლების კანდიდატი, მეორე მხარეს კი – ქალბატონი სალომე. ვიცოდი, რომ არჩევანი სალომეს სასარგებლოდ იქნებოდა.

მომავალი ორი წლის განმავლობაში ჩვენ საზოგადოებას უნდა დავანახოთ ეფექტური ცვლილებები. მათ შორის, სამართლიანობის აღდგენის კუთხით. არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება საკადრო გადაწყვეტილებები. ეს ყველაფერი იქნება ძალიან სერიოზული მონიტორინგის ქვეშ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2020 წლისთვის ჩვენ დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიწევს.

– რა წინააღმდეგობების გადალახვა შეიძლება მოგიწიოთ?

– 2020 წლისთვის საპარლამენტო არჩევნებში იქნება 3%-იანი არჩევნები და ნებისმიერ ძალას, ეფექტური წინასაარჩევნო კამპანიის შემთხვევაში, შეეძლება გადალახოს 3%-იანი ბარიერი. ამიტომ, 2020 წლის არჩევნები იქნება ძალიან რთული. არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა რაც თქვა, თუ შეასრულა, თუ ერთი წლის განმავლობაში მოხდა თვისობრივი გარდაქმნა ხელისუფლებაში სხვადასხვა მიმართულებით, ეს იქნება სერიოზული კარტ-ბლანში იმისა, რომ 2020 წელს ჩვენს გუნდს არჩევნებში შეიძლება პრობლემა აღარც შეექმნას.

– ანუ მთავრობაში ცვლილებებს უნდა ველოდოთ?

– აქ საუბარია ხელისუფლების შიგნით ცვლილებებზე, აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო რგოლში, მომავალში გამოჩნდება, რა ცვლილებები განხორციელდება. ცვლილებები რომ საჭიროა, ამაში, მგონი, ყველა დამეთანხმება.

– მაინც რა მესიჯები გაუგზავნა ხალხმა ხელისუფლებას ამ არჩევნებით?

– ხალხმა ხელისუფლებას გაუგზავნა შესასრულებლად ძალიან მარტივი, მაგრამ თვისობრივად ძალიან დამუხტული მესიჯი, რასაც ჰქვია ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კავშირის აღდგენა, რომელიც ბოლო პერიოდში ძალიან შესუსტდა.

ეს არის ძალიან პოზიტიური მესიჯი, რომელიც საზოგადოებამ ხელისუფლებას გაუგზავნა. საზოგადოებას უნდა, ისეთი ხელისუფლება ჰყავდეს, რომელიც მას ემსახურება და არა – პირიქით. ამ მესიჯზე შეიძლება ყველანაირი ზედნაშენი იქნას დაშენებული.

– ამომრჩევლის 43% არჩევნებზე არ მივიდა, ეს 43% მესამე ძალის შექმნის საშუალებას იძლევა, ანუ რესურსი არის, თუ ვინმეს მოუნდება ქვეყნისთვის რამე სასიკეთოს გაკეთება.

– რესურსი ყოველთვის არსებობს. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ამგვარი რესურსი არსებობს, მაგრამ ეს არ არის საშიში. მთავარია, ჩვენმა გუნდმა იმოქმედოს და მოთხოვნები შეასრულოს. თუ ასე იქნება, მესამე ძალის შექმნის აუცილებლობა არ დადგება.

– ივანი შვილმაც თქვა, სამწუხაროა, რომ დღეს კიდევ ნაციონალებთან გვიწევს დაპირისპირებაო.

– ვფიქრობ, ამ არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის გავლენა ქართულ პოლიტიკაზე გეომეტრიული პროგრესიით დაიწყებს კლებას. სხვა პოლიტიკური ძალები მოძლიერდებიან. საზოგადოებაში ამის განწყობა ცალსახად არის. როცა მილიონ 200 ათასამდე ადამიანი აფიქსირებს ჩვენს მხარდაჭერას, ეს იმას ნიშნავს, შენ გენდობიან. თუ შენც სწორად მიჰყვები პოლიტიკურ ცხოვრებას, მესამე ძალის შექმნის საჭიროება არ დგება.

ამ პირობებში საინტერესოდ ჩანს „პატრიოტთა ალიანსი“. „პატრიოტთა ალიანსი“ საკმაოდ საინტერესოდ გამოჩნდა ასევე მაშინ, როცა თავისუფლების მოედანზე მრავალათასიანი აქცია ჩაატარა, რაც მათთვის კარგი სტარტია.

ამიტომ გეუბნებით, რომ 3%-იანი ბარიერის არსებობის პირობებში შეიძლება სხვა ძალებიც გამოჩნდნენ. ჩვენ ემოციური ხალხი ვართ და შეიძლება უცებ გამოჩნდეს რამდენიმე ახალი პოლიტიკური ძალა, რომელმაც შეიძლება სწრაფად დაიმკვიდროს ადგილი ქართულ პოლიტიკაში.

– მე არ გეთანხმებით, რომ ამ არჩევნების შემდეგ ნაცმოძრაობის გავლენა გეომეტრიული პროგრესიით დაიწყებს კლებას. 40%-ზე მეტი აიღო ამ ძალამ ახლა და 2012 წელსაც, ანუ დღემდე მისი მხარდამჭერების რიცხვი არ კლებულობს. არ ფიქრობთ, რომ 40% ძალიან დიდია იმ ფონზე, როცა ყველა სიგლახე, რაც ამ პარტიამ გააკეთა, კიდევ ერთხელ გამომზეურდა?

– სამწუხაროა, რომ „ოცნების“ პიარი მოიკოჭლებდა. დარწმუნებული ვარ, ნორმალური პიარის პირობებში მეორე ტური არ იქნებოდა. ის მინუსები, რაც ჰქონდა ჩვენს მოწინააღმდეგე დაჯგუფებას, საზოგადოებისთვის ყოველთვის უნდა შეგვეხსენებინა.

– რატომ დაიკლებს ნაცმოძრაობის გავლენა გეომეტრიული პროგრესიით?

– ხელისუფლებამ უნდა გადადგას რადიკალური ნაბიჯები დაპირებების შესასრულებლად. თუ ხელისუფლება ამ მიმართულებით იმოძრავებს, მაშინ ნაცების გავლენა კლებას დაიწყებს. თუ ხელისუფლებამ არაფერი შეასრულა, მაშინ, ცხადია, ნაცების რეიტინგი არ დაეცემა. გარდა ამისა, პარლამენტში შეტანილია კანონ-პროექტი, რომლითაც უნდა შეფასდეს ნაცმოძრაობის დანაშაულებრივი რეჟიმი.

– „ოცნება“ მხარს დაუჭერს „პატრიოტთა ალიანსის“ შეტანილ რეზოლუციას, რომლითაც ნაცრეჟიმის მოღვაწეობის შეფასებას ითხოვს?

– ამ გადაწყვეტილებაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. თუ ხელისუფლება აღნიშნულ რეზოლუციას მხარს დაუჭერს და კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს საზოგადოების თვალში კლიმატის გასაჯანსაღებლად, სწორი საკადრო პოლიტიკა გატარდება, საზოგადოებასთან ყოველდღიური კომუნიკაცია იქნება, მაშინ ნაცმოძრაობის რეიტინგი გეომეტრიული პროგრესიით დაეცემა. ყველაფერი მაინც ხელისუფლების ხელშია.

– ალბათ, შედეგები გამოჩნდება, თუ ყურადღება მიექცევა ისეთი საქმეების გამოძიებას, როგორიც არის, ვთქვათ, 26 მაისის დარბევას შეწირული ასათიანისა და კვინტრაძის საქმე, არაერთ საქმეზე სწრაფი რეაგირება, რაზეც არჩევნების წინ პატარა სიგნალი გამოვიდა საგამოძიებო ორგანოებიდან.

– სულიკო ასათიანის მეუღლე არც ერთ არჩევნებში აქტიურად ჩართული არ ყოფილა.

– ახლა ჩართული იყო?

– განცხადებაც გააკეთა, მოუწოდა კიდეც ხალხს. მე ყველაფრის საქმის კურსში ვარ. ეს მან იმიტომ გააკეთა, იმედი გაჩნდა – რაც ბრძანა ბიძინა ივანიშვილმა, იმის ცხოვრებაში რეალიზება მოხდება. სულიკო ასათიანის მეუღლეს გამოჰყვა მისი სანათესავო, სამეზობლო და სამეგობრო. ჩვენი არაერთი განცხადება საფუძველი გახდა იმისა, ამ საქმეს ყურადღება მიქცეოდა.

მხოლოდ სულიკო ასათიანისა და ნიკა კვინტრაძის საქმე არ არის. ასეთი საქმეები ბევრია, რაზეც ადამიანებს მოლოდინები აქვთ. ადამიანებს ბიზნესი რომ წაართვეს, უსახლკაროდ დატოვეს და დღემდე სამართალი ვერ იპოვა, მათ რომ ეტყვი, მხარში დაგვიდექით და არჩევნების შემდეგ თქვენს საქმეებს ისე მივხედავ, როგორც გეკუთვნისო, ისინი გვერდში დაგიდგებიან. თუ ამ ადამიანებს დანაპირებს არ შეუსრულებ, ცხადია, ეს უკურეაქციებს გამოიწვევს.

– როგორ ვაცილებთ პრეზიდენტ მარგველაშვილს? მან განაცხადა, რომ დემოკრატიის ნაკლებობის პირობებში ჩატარდა არჩევნები.

– მარგველაშვილი თავისუფალია თავის მოსაზრებებსა და გამოთქმებში. მას აქვს თავისი პოზიციის გამოხატვის უფლება. მან გამოთქვა აზრი, რომელიც სერიოზულ ანალიზსა და ფაქტებზე არ არის დამყარებული. არჩევნებთან დაკავშირებით მთელ ქვეყანაში სულ რამდენიმე საჩივარია დაწერილი. სადაც არჩევნებია, იქ ყოველთვის არის ექსცესები.

მთელი დღის განმავლობაში კეთდებოდა განცხადება, რომ კანონი არ ირღვევა, როცა ადამიანებს აქვთ სიები და იმით ხელმძღვანელობენ. კანონი არ ირღვევა, მაგრამ მაინც არ უნდა ჰქონდეთ სიებიო, ასეთი ფორმით დაპირისპირება მხოლოდ საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს; ფონს ქმნის, თითქოს რაღაც ხდება.

გეუბნებიან, რომ ეს სიები არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტს აქვს და შეუძლია ეს სია გამოიყენოს. როდესაც თვითონაც აღიარებ, რომ საარჩევნო აგიტაცია შესაძლებელია, თუმცა, არა შიგნით უბანზე, მაგრამ მაინც ამბობ, დარღვევაა, სად არის აქ დანაშაული ან დარღვევა? არ არის დარღვევა.

– მარგველაშვილის პრეზიდენტობა ისტორიას ბარდება. თვითონ მარგველაშვილის პრეზიდენტობას როგორ აფასებთ?

– გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობა ისტორიას ჩაბარდა. მარგველაშვილს განსაკუთრებული არაფერი გაუფუჭებია, მაგრამ არც განსაკუთრებული ისტორიული გადაწყვეტილებები მიუღია. იყო ერთი ადამიანი, რომელიც ცდილობდა, თავისი თავი დაემკვიდრებინა, წარმოეჩინა, როგორც ქვეყნის მეთაურს, როგორც არის კონსტიტუციით, მაგრამ ეს მას არ გამოსდიოდა, რადგან კანონმდებლობით გარკვეული უფლებებით არ არის აღჭურვილი.

გიორგი მარგველაშვილისგან რაღაც განსაკუთრებულ რევოლუციურ აზრებს მე ნამდვილად არ ველოდი.

შალვა შავგულიძე: „პრეზიდენტი ზურაბიშვილი ჩვენს სახელმწიფოებრიობას ვერ დააზიანებს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მეორე მხრივ, შეიძლება ვადამდელი არჩევნები დასჭირდეს ხელისუფლებასაც. მისი რეიტინგი კლებადია და შესაძლოა მან ჩათვალოს, რომ ვადამდელი არჩევნები მისთვის მომგებიანი იქნება, ასეთივე ფორმებით და ასეთივე ცუდი არჩევნებით კვლავ საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვოს და ახალი ლეგიტიმაციით გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნა. ანუ, გააკეთოს ის, რაც მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა 2008 წლის იანვარში.

ვადამდელ არჩევნებს მხარს არ ვუჭერთ. მანამდე იქნებ თანდათანობით გამოიკვეთოს ახალი პოლიტიკური გაერთიანება. იმედი მაქვს, ამას გააძლიერებს საზოგადოების წარმომადგენლობა, რომლებიც დღეს გაერთიანებაში არ არიან, მაგრამ საზოგადოების მაღალი ნდობით სარგებლობენ.

ეს გაერთიანება შესაძლოა გახდეს ალტერნატივა ამ ორი პოლიტიკური პოლუსისა და ჩვენს საზოგადოებას აღარ მოუწიოს არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის.

სამეგრელოში ახალი მრავალმილიონიანი ტურისტული მარშრუტი — „ტობავარჩხილის“ განვითარება გადაიდო

სამეგრელოში ახალი მრავალმილიონიანი ტურისტული მარშრუტი – „ტობავარჩხილის“ განვითარება გადაიდო. როგორც პროექტის განმახორციელებელ „მუნიციპალური განვითარების ფონდში“ „კომერსანტს“ განუცხადეს, მიზეზი ტობავარჩხილის გზამდე მისასვლელი გზის მშენებლობაა. მათი ინფორმაციით, მანამ ამ გზის მშენებლობა არ დასრულდება, ტობავარჩხილის მარშრუტის დაწყებას აზრი არ აქვს.

„მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ინფორმაციით, ჯერჯერობით უცნობია როდის გამოცხადდება ტობავარჩხილის გზამდე მისასვლელ ქვედა გზის საპროექტო სამუშაოებზე ტენდერი. თავად, ტურისტული მარშრუტი „ტობავარჩხილის“ საპროექტო სამუშაოებზე კი ტენდერი უკვე დასრულებულია. შედეგად, საპროექტო დოკუმენტაცია 9.9 კილომეტრზე მზადაა.

ფონდში განმარტავენ, რომ მას შემდეგ, რაც დასრულდება ტობავარჩხილამდე მისასვლელი გზის მშენებლობა, გამოცხადდება უშუალოდ მარშრუტის მშენებლობაზე ტენდერი.

ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან (ჩხოროწყუს რაიონი) დაიწყება. კონცეფციის მიხედვით იგეგმება ტობას მიმართულებით გზებისა და საბაგიროს მოწყობა. როგორც გუბერნატორის ადმინისტრაციაში აცხადებენ, აღნიშნულ პროექტს ინვესტორებს მას შემდეგ შესთავაზებენ, რაც ადგილზე კომუნიკაციები მოეწყობა.

საუბარია მუხურიდან ტობამდე მისასვლელი გზის მშენებლობაზე. ასევე დაგეგმილია საბაგირო გზის მშენებლობაც.

როგორც ცნობილია, მომზადებულია კონცეფცია, თუმცა, რა დაჯდება აღნიშნული ტურისტული მარშრუტის განვითარება, ამაზე გუბერნატორის ადმინისტრაციაში ამ დროისთვის ვერ საუბრობენ. გასულ წელს „კომერსანტთან გუბერნატორის ადმინისტრაციაში აცხადებდნენ, რომ წინასწარი გათვლებით პროექტი საკმაოდ მსხვილბიუჯეტიანი, შესაძლოა, რამდენიმემილიონიანიც იყოს.

სამეგრელოს მაღალმთიანეთში ტობას განვითარების გეგმა დიდი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას გულისხმობს. გეგმის თანახმად, ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან დაიწყება და ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2650 მეტრის სიმაღლეზე დამთავრდება, სადაც ტურისტს მყინვარული წარმოშობის 7 ტბის მონახულების შესაძლებლობა ექნება. ტობას განვითარების კონცეფციის ავტორი საქართველოს სპელეოკავშირის წევრი, ფოტოგრაფი რომან თოლორდავაა.

განვითარების გეგმა ხუთ ტობას მოიცავს (დიდღალიშ ტობა, წაქაწყარიში ტობა, კალაშიშ ტობა, ცაშკიბულიშ ტობავარჩხილი და ჭითაგვალაშ ტობავარჩხილი), ასევე შესაძლებელია დაემატოს 2 ტობა. ტურისტული მარშრუტი კურორტ მუხურიდან დაიწყება და კონცეფციის მიხედვით იგეგმება გზებისა და საბაგიროს მოწყობა ტობას მიმართულებით.

ერთ ტურისტულ მარშუტზე შესაძლებელი იქნება შურუბუმეს მღვიმეს, კანიონის და უიშვიათესი მცენარეების დათვალიერება. განვითარების გეგმაში ასევე შედის მდინარე გვალაშარასა და მის კანიონში სამოყვარულო კანიონის განვითარება.

– ეს მარშრუტი ხელმისაწვდომი იქნება ბავშვებისთვის, მოყვარულებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებითვის. პროფესიონალი კანიონიგებისთვის მარშუტის მოწყობა კი მდინარე კირაზალაზეა შესაძლებელი. მდინარე ღუნჯი და მისი ჩანჩქერი კი პირველი დონის კანიონიგისთვის იქნება გათვლილი. ტობას განვითარების გეგმის მიხედვით მდინარე ხობზე რაფტინგისა და კანიონიგის განვითარებაც იგეგმება, – აცხადებდნენ გასულ წელს ადმინისტრაციაში.

ასევე დაგეგმილია ტურისტული ბილიკების გაშლა. ტბებიდან შესაძლებელი იქნება სვანეთში, დაბა ხაიშში ან მეორე მხარეს, ეგრისისი ქედის სამხრეთ ნაწილში, კურორტ სკურში გადასვლა. კონცეფციის მიხედვით უნდა გაიწმინდოს და დაიგოს გზები, ასევე მოეწყოს საბაგირო ტობას მიმართულებით.

სამეგრელოს მაღალმთიანეთის განვითარების გეგმაში ასევე შედის ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარება. ამ მიმართულებისთვის შერჩეულია ნათიფურუს, ღანჯერის, ოხოჯეს, გვამარდასა და კალაშარას მეჯოგეთა საზაფხულო სადგომები. ასევე შესაძლებელია სათევზაო და სანადირო ტურიზმის განვითარებაც.

ტობავარჩხილი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ეგრისის ქედზე, ზღვის დონიდან 2.650 მეტრზე მდებარეობს. ტბის უდიდესი სიღრმე 35 მეტრია. ტობავარჩხილი – ვერცხლის ტბა მთის გამჭვირვალე ტბის საერთო სახელია. ეგრისის ქედზე ამ სახელწოდების სულ 6 ტბაა.

ვალების განულების სიის გამოქვეყნება შესაძლოა გადავადდეს — ფონდ „ქართუში“ ტელეფონს არ იღებენ

საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვებგვერდი, სადაც მოქალაქეებს ექნებოდათ შესაძლებლობა ენახათ, მოხვდნენ თუ არა ვალების განულების სიაში, შესაძლოა, 3 დეკემბრამდე მზად არ იყოს.

„მეტრონომი“ ინფორმაციის გადამოწმების მიზნით შეეცადა დაჰკავშირებოდა ფონდ „ქართუს“, რომელიც არის ინიციატორი ამ წინასაარჩევნო დაპირება-იდეის. თუმცა, ჩვენმა ძალისხმევამ, დავკავშირებოდით ფონდს, შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ტელეფონს აღნიშნულ ოფისში, ამ დრომდე, არავინ იღებს.

ამის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ, დავკავშირებოდით გიორგი უძილაურს, რომელიც დღემდე ვიცოდით, რომ არის „ქართუს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი. როგორც უძილაურმა გვითხრა, ის აღარ არის ამ განყოფილების უფროსი.

„დიდი ხანია აღარ ვარ ქართუში და, როგორც ვიცი, ქართუს იმის შემდეგ პიარ-სამსახური არც ჰყავს“ – გვიპასუხა უძილაურმა.

„მეტრონომი“ შეეცადა დავჰკავშირებოდა ფინანსთა სამინისტროს, რადგან მინისტრმა თავის დროზე განაცხადა, რომ გაკეთდებოდა ერთიანი ბაზა და 3 დეკემბრიდან უკვე მზად იქნებოდა ვებგვერდი, სადაც თითოეულ ადამიანს ექნებოდა შესაძლებლობა თავისი მონაცემები შეეყვანა და ენახა, მოხვდა თუ არა ის დავალიანების ჩამოწერის პროგრამაში.

ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, განაცხადა, რომ სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ერთიანი ბაზა გაკეთდება და 3 დეკემბრიდან უკვე მზად იქნებოდა ვებგვერდი, სადაც თითოეულ ადამიანს ექნებოდა შესაძლებლობა თავისი მონაცემები შეეყვანა და ენახა, მოხვდა თუ არა ის დავალიანების ჩამოწერის პროგრამაში.

თუმცა, როგორც ირკვევა, ვებგვერდი ჯერ მზად არ არის, რადგან სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებისგან კონკრეტული მევალეების სია ჯერ არ მიუღიათ.

გამომდინარე ფინანსთა მინისტრის განცხადებიდან, „მეტრონომი“ დაუკავშირდა ფინანსთა მინისტრის პრესსამსახურის უფროს ბაია ცანავას. მისი თქმით, ფინანსთა მინისტრი აცხადებდა, რომ ვალების განულების შესახებ ვებგვერდი 3 დეკემბრიდან უნდა შექმნილიყო, და არა 3 დეკემბერს. ცანავას თქმით, სიატის შექმნის საკითხი არ შედის ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში და ამის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მოწოდება ან ეროვნულ ბანკს, ან ფონდ „ქართუს“ შეუძლია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ბიზნესპრესნიუსს“ ფონდ „ქართუში“ განუცხადეს, ვებგვერდი ჯერ მზად არ არის, რადგან სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებისგან კონკრეტული მევალეების სია ჯერ არ მიუღიათ.

„ვებგვერდს ვამზადებთ, თუმცა, მისი შინაარსით შევსება დამოკიდებულია კომპანიებზე, რომლებმაც უნდა მოგვაწოდონ კონკრეტული სიები და ველოდებით. მთავარია, კონტენტი მივიღოთ, რის შემდეგაც ვებგვერდს ძალიან მალე გავააქტიურებთ“, – აღნიშნეს ფონდში.

შეგახსენებთ, დეკლარირებულია, რომ დავალიანებების ჩამოწერა დაახლოებით 600 ათას ადამიანს შეეხება და, წესით, ვალების ჩამოწერა 15 დეკემბრიდან უნდა დაიწყოს.

მეტრონომი

700.000 რეგისტრირებული კომპანიიდან რამდენი საწარმოა მოქმედი — საქსტატის მონაცემები

საქსტატის მონაცემებით, მიმდინარე წლის ოქტომბერში დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა 13.9%-ით გაიზარდა და 6 მლრდ 603 მლნ 86 ათასი ლარი შეადგინა. საქსტატის ინფორმაციითვე, ოქტომბერში 4,768 ახალი საწარმო დარეგისტრირდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 12.8%-ით ნაკლებია. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში გამართულ პრესკონფერენციაზე საქსტატის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ აღნიშნული კლება წინა წლის ანალოგიურ პერიოდში შედარებით მეტი ახალი საწარმოს რეგისტრაციით ახსნა.

მისივე თქმით, საქართველოში თვეში საშუალოდ 4,000 კომპანია რეგისტრირდება, მაგრამ ახლად რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რამდენია აქტიური ეკონომიკური სუბიექტი და რა დამატებით ღირებულებას ქმნიან ისინი.

Bm.ge-ის კითხვაზე – რეალურად რამდენი მოქმედი კომპანიაა საქართველოში, საქსტატის აღმასრულებელმა განაცხადა, რომ დაახლოებით 700.000 კომპანიიდან აქტიური ეკონომიკური სუბიექტი დაახლოებით 160.000-ია.

– საქსტატის მეთოდოლოგიით, აქტიურად ითვლება საწარმო, რომელსაც ნებისმიერი სახის დეკლარაციაში დაფიქსირებული ჰქონდა ბრუნვა ნულზე მეტი ან დაფიქსირებული ჰქონდა დასაქმებულთაა რაოდენობა ერთი ან მეტი კაცი; ასევე აქტიურია საწარმო, რომელსაც საანგარიშო პერიოდში მოგება ან ზარალი ჰქონდა ან სახელფასო ცნობების მიხედვით, დაფიქსირებული ჰქონდა ხელფასის გაცემა; ასევე, აქტიურია ისეთი კომპანიებიც, ვინც იხდის გადასახადს, გარდა ქონების გადასახადისა, რადგან ქონების გადასახადს შეიძლება იხდიდეს ეკონომიკურად არააქტიური სუბიექტიც; მოკლედ, ჩვენი მეთოდოლოგიით რეგისტრირებული 700.000 საწარმოდან მოქმედია, დაახლოებით, 160.000 ეკონომიკური სუბიექტი, – განაცხადა თოდრაძემ.

კომერსანტი

ბაბილისის ქუჩებში საახალწლო განათებები გამოჩნდა — ილუმინაციებში წელს სულ 2.671.789 ლარი დაიხარჯება

„თბილსერვის ჯგუფის“ მიერ კომერსანტისთვის მოწოდებული ინფორმაციით, თბილისს ახალი საახალწლო ილუმინაციები შეემატება და 2019 წელს დედაქალაქის უფრო მეტი უბანი შეხვდება საახალწლო დეკორაციებით. ახალი საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ტექნიკური მასალის მიწოდებისთანავე დაიწყება და დეკემბრის შუა რიცხვებში, ახალი საახალწლო განათებების მონტაჟით დასრულდება. თბილისის საახალწლო განათებაში წელს სულ 2.671.789 ლარი დაიხარჯება.

კომერსანტი დაინტერესდა, რა თანხა უჯდება საახალწლო განათებები ბიუჯეტს და რომელი კომპანიის მომსახურებით ვსარგებლობთ.

როგორც ცნობილია, „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ 2018 წლის 24 ოქტომბერს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი იტალიურმა კომპანიამ – IDO SRL 2.093.789 ლარად მოიგო, თუმცა კომპანიის შერჩევას წინ არშემდგარი ტენდერი უძღოდა.

თავდაპირველად საახალწლო ილუმინაციებზე ტენდერი 2018 წლის სექტემბერში გამოცხადდა და მასში მონაწილეობას ორი კომპანია იღებდა: IDO SRL , რომლის შეთავაზებული ფასი 2.093.789 ლარი იყო და შპს თეზვი, რომელიც დაახლოებით 400.000 ლარით ნაკლებს – 1.698.404 ლარს სთავაზობდა დედაქალაქის მთავრობას.

ამ ტენდერში თეზვმა გაიმარჯვა, მაგრამ დისკვალიფიცირებული იყო, რადგან მითითებული არ ჰქონდა შემოთავაზებული გასანათებელი მოწყობილობის სიმძლავრე და კომპანიას არ აღმოაჩნდა გამოცდილება აქსესუარების ნაწილში. შესაბამისად, გამარჯვებულად გამოცხადდა მეორე პრეტენდენტი – იტალიური კომპანიაIDO SRL.

შპს „თეზვმა“ 2018 წლის 10 ოქტომბერს გაასაჩივრა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება, თუმცა პროცესი მაინც დისკვალიფიკაციით დასრულდა.

მერიის მხრიდან IDO SRL-თანაც არსებობდა შეკითხვები სიმძლავრესთან, გამოცდილებასთან და გარკვეულ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან მიმართებით. შესაბამისად, ეს ტენდერი წარუმატებლად დასრულდა, თუმცა ერთი თვის შემდეგ, 24 ოქტომბერს, „თბილსერვისჯგუფმა“ კვლავ გამოაცხადა ახალი ტენდერი, რომელშიც კვლავ მიიღო მონაწილეობა IDO SRL-მა. მის მიერ შეთავაზებული თანხა ისევ 2.093.789 ლარი (2.123.000-დან) იყო.

ამჯერად კომპანიის მიმართ სატენდერო კომისიას არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს და სწორედ მას გაუფორმდა ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 5 ოქტომბერს გამარტივებული შესყიდვით გაფორმდა ხელშეკრულება ამავე კომპანიასთან საახალწლო ილუმინაციებისათვის. თანხის ოდენობა მაშინ შეადგენდა 620.271.58 ევროს.

„შეაჩერე კორუფციას“ დამფუძნებელი, ქეთი ენუქიძე საახალწლო ილუმინაციების ტენდერის შესაძლო უკონკურსოდ ჩატარებაზე საუბრობს და ამბობს, რომ შარშანდელი ტენდერიც არაერთ კითხვის ნიშანს აჩენს.

– დიდი ალბათობით, ეს იყო ტენდერი მარტო მონაწილეობით, თუმცა დრო გვიჩვენებს ზუსტ სურათს. 2017 წელს ბევრმა გარემოებამ გამოიწვია კითხვის ნიშნები: რა საჭირო იყო გამარტივებული წესი, თუ ახალ წლამდე სამი თვე იყო და თავისუფლად მოესწრებოდა ტენდერის ჩატარება. სად და რა გზებით მონახა იტალიურმა კომპანიამ ეს ტენდერი და ა. შ. შარშანდელი გასანათებელი მოწყობილობის ბედი არა ნაკლებ საინტერესოა. რატომ გახდა საჭირო ახალი ილუმინაციის შეძენა, თუკი ქალაქის ბიუჯეტიდან არც თუ მცირე თანხა იყო გადახდილი? რამ განაპირობა ახალი შესყიდვის აუცილებლობა? ხარისხმა, თუ არასათანადო რაოდენობამ? თუ გადახდილი თანხის ოდენობას გავითვალისწინებთ და, ასევე, იმასაც, რომ ძველი გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურებიც იყო გამოყენებული სხვადასხვა უბნებში, ხოლო ხარისხის შესახებ გასულ წელს თბილისის ხელისუფლებამ ისეთი აღმატებული კომენტარები გაიკეთა, ეჭვი არავის გაგვჩენია. – განაცხადა ქეთი ენუქიძემ.

მისი თქმით, საეჭვოა ისიც, რომ 2017 წელს კომპანიის გამოცდილება ეჭვის ქვეშ არ დამდგარა, 2018 წელს კი გაჩნდა ეჭვი და მოხდა კომპანიის დისკვალიფიკაცია. ქეთი ენუქიძის ვარაუდით, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს დეტალების გარკვეული ცვლილებით სექტემბერში და ოქტომბერში გამოცხადებულ ტენდერებს შორის.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 10 ოქტომბერს კიდევ ერთი ტენდერი გამოცხადდა საახალწლო გასანათებელი მოწყობილობებისა და სტრინგების შეძენის მიზნით, რომელშიც მარტო მონაწილეობით გაიმარჯვა კომპანია „ალპა+“ -მა (578.000 ლარით 586.000 ლარიდან).

პაატა ცაგარეიშვილი: „რკინიგზის სრული პრივატიზაციის შემთხვევაში, რუსეთის მიერ სატრანსპორტო მარყუჟი ამოქმედდება“

ეკონომიკის მინისტრ გიორგი ქობულიას განცხადებით, რკინიგზის გაყიდვა ჯერჯერობით არ იგეგმება, თუმცა მთავრობა სახელმწიფო კომპანიის რეორგანიზაციის საკითხს განიხილავს. მინისტრი განმარტავს, რომ რკინიგზაში შესაძლოა კერძო ოპერატორები შევიდნენ. ამ მოსაზრებას სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი, პაატა ცაგარეიშვილი რადიო კომერსანტის გადაცემაში – დღის თემა ეხმიანება. მისი თქმით, ქობულიას განცხადება დაკონკრეტებას საჭიროებს და ამბობს, რომ უნდა მოხდეს რკინიგზის ნაწილობრივი პრივატიზაცია. სრული პრივატიზაციის შემთხვევაში, ცაგარეიშვილი რუსეთის მიერ სატრანსპორტო მარყუჟის ამოქმედებაზე საუბრობს.

– საქართველოს რკინიგზის პრივატიზაციის საკითხი აქტუალურია რამდენიმე მიზეზის გამო. რკინიგზა სერიოზულ რეორგანიზაციას და რეფორმირებას მოითხოვს. მისი ტექნიკური აღჭურვილობის დონე ჩამორჩენილია, მომსახურების დონე დაბალი, ცვეთა გაზრდილი. რკინიგზაში 13 ათასი ადამიანია დასაქმებული ბოლო 7 წლის განმავლობაში, გადაზიდვების მოცულობა 20 მილიონ ტონაზეა დაცემული, შრომის ნაყოფიერების დონე დაბალია, როცა იმავენაირად 13 ათას მომსახურე პერსონალზე, ბალტიისპირეთის ქვეყნებში 50 მილიონ ტონას ზიდავენ.

არსებობს პრივატიზების ევროპული და ამერიკული მოდელი. ამერიკული მოდელი ითვალისწინებს მთლიანად რკინიგზის პრივატიზებას, ამერიკული მოდელის გამოყენება საქართველოსთვის მიუღებელია. ჩვენთვის სავსებით მოსახერხებელია ის, რომ ინფრასტრუქტურა და ლიანდაგი სახელმწიფოს ხელში დავტოვოთ და ევროდირექტივების საფუძველზე შევქმნათ ჰოლდინგური კომპანია, სადაც გაერთიანებული იქნება ფინანსურად განხოლოებული სატვირთო სამგზავრო და დამხმარე ნაგებობების ორგანიზაცია და ეს გავუშვათ პრივატიზაციაში. ვფიქრობ, ეკონომიკის მინისტრის გამოსვლაში არ იყო დაკონკრეტებული, ის თუ რომელი ნაწილის პრივატიზაციას გეგმავს სახელმწიფო, – ამბობს პაატა ცაგარეიშვილი.

ამასთან, სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის დამფუძნებლის განცხადებით, აუცილებელია მარეგულირებელი ორგანოს შექმნა, რომელიც სარკინიგზო სფეროში კონკურენციას გააძლიერებს. თუ ჩვენ დავიწყებთ მთლიანად სარკინიგზო აქტივების გაყიდვას, ადვილი წარმოსადგენია, რომ მას ჩრდილოელი მეზობელი დაისაკუთრებს, რადგან ის უკვე ფლობს სომხეთისა და აფხაზეთის რკინიგზას და არის სატრანსპორტო მარყუჟის შემოვლების საშიშროება, რაც, ბუნებრივია, საქართველოს პოლიტიკური ვექტორის ცვლილებას გამოიწვევს, – ამბობს პაატა ცაგარეიშვილი.

კომერსანტი

სოსო არჩვაძე: „6,7-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა პოზიტიური ინფორმაციაა მოსახლეობისთვის და დამაიმედებელი შეტყობინება ბიზნესისთვის“

– ეკონომიკური ზრდა 6,7 პროცენტის ოდენობით საკმაოდ პოზიტიური ინფორმაციაა მოსახლეობისთვის და განსაკუთრებით დამაიმედებელი შეტყობინება – ბიზნესისთვის, რადგან ეს ნიშნავს, რომ საქართველოში სტაბილური ეკონომიკური გარემოა, – განაცხადა ეკონომიკის დოქტორმა, სტატისტიკოსმა სოსო არჩვაძემ 2018 წლის ოქტომბერში ეკონომიკური ზრდის წინასწარი მაჩვენებლის კომენტირებისას.

ეკონომიკის დოქტორმა რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს გაუსვა ხაზი. მისი განცხადებით, 2018 წლის ოქტომბერში ეკონომიკის ზრდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალია საქართველოში და მნიშვნელოვნად აღემატება 2018 წლის პირველი სამი კვარტლის საშუალო მაჩვენებელს. სოსო არჩვაძის თქმით, ზრდის აღმავალი ტრენდი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივაზე მეტყველებს. სოსო არჩვაძემ კიდევ ერთ პოზიტიურ მომენტზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში ბიზნესსექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მაღალი ტემპია.

– ამ საწარმოების მიხედვით, ეკონომიკური ზრდის ტემპი 1.7 ჯერ აღემატება ეკონომიკის ნომინალურ ზრდას. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულ უფრო და უფრო მზარდი წილი უკავია ეკონომიკური მაჩვენებლების ფორმირებაში ბიზნესსექტორს. შესაბამისად, უფრო ნაკლები სახელმწიფო მართვას, ბიუროკრატიას და ეს არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს, – აღნიშნა სოსო არჩვაძემ.

მისი თქმით, ასევე აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ეკონომიკურ ზრდაში მზარდი როლი ისეთ დარგებს მიუძღვის, რომლებიც მაღალი ზრდის ტემპით რამდენიმე თვის წინ არ გამოირჩეოდნენ. ეკონომიკის ექსპერტმა ერთ-ერთ ასეთ დარგად მოიყვანა მშენებლობა, სადაც ზრდის ტემპის შენელების ტენდენცია რამდენიმე თვეში წარმატებით დაიძლია და 2018 წლის ოქტომბრის მაჩვენებელში თავისი პოზიცია ფუნქცია შეასრულა.

– ეკონომიკას უყვარს სტაბილურობა და იმედია, არაფერი შეუშლის ხელს საქართველოში ეკონომიკური ზრდის ტრენდის ჩამოყალიბებაში, – განაცხადა ეკონომიკის დოქტორმა, სტატისტიკოსმა სოსო არჩვაძემ.

მოსამართლემ გოგა ხაინდრავას წინააღმდეგ ეკა გიგაურის სარჩელი არ დააკმაყოფილა

ეკა გიგაური სტრასბურამდე მივა

თბილისის საქალაქო სასამართლომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დირექტორის, ეკა გიგაურის მიერ რეჟისორ გოგა ხაინდრავასა და გურამ ადამაშვილის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი არ დააკმაყოფილა.

აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი მოსამართლე ქეთევან კუჭავამ 30 ნოემბერს გამოაცხადა.

მოსამართლემ განმარტა, რომ სადავო განცხადებას არ გააჩნია ცილისწამებად კვალიფიკაციის აუცილებელი ელემენტი და რომ მოპასუხეთა მიერ გაჟღერებული განცხადება აზრის გამოხატვად ჩაითვალა.

შეგახსენებთ, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დირექტორმა, ეკა გიგაურმა რეჟისორ გოგა ხაინდრავასა და გურამ ადამაშვილს პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის უჩივლა.

საქმე ეხება 2014-2015 წლებში ხაინდრავასა და ადამაშვილის მიერ სატელევიზიო ეთერით გაკეთებულ განცხადებებს. მოპასუხეებმა ეკა გიგაური დაადანაშაულეს 2007 წლის ნოემბრის აქციების ძალისმიერი მეთოდით დაშლის წახალისებაში.

– თავიდანვე ვიცოდი, რომ მართალი ვარ ცამდე და ეს დაადასტურა სასამართლომ. ეს ვიცოდი არა მარტო მე, მთელმა საქართველომ იცოდა, – ასე გამოეხმაურა რეჟისორი გოგა ხაინდრავა სასამართლოს გადაწყვეტილებას.

როგორც ხაინდრავა აცხადებს, 3 წლის განმავლობაში სასამართლოში იმის გამო დადიოდა, რომ საზოგადოებისთვის ეჩვენებინა, თუ რას წარმოადგენს გიგაური.

– ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ შეაფასებს ამას ყველაფერს საზოგადოება, რას წარმოადგენს გიგაური. მხოლოდ იმისთვის ვიყავი ამ სასამართლოში. 3 წლის განმავლობაში დავდიოდი, რომ მეჩვენებინა საზოგადოებისთვის, რას სჩადიოდნენ ისინი და რას სჩადიან დღეს, – აცხადებს ხაინდრავა.

თავად ეკა გიგაური თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრებს.

აღნიშნულის შესახებ ჟურნალისტებს გიგაურის ადვოკატმა, თეო ზაქარაშვილმა განუცხადა.

– თავიდანვე ვაცნობიერებდით, რომ ჩვენ სარჩელი დამოუკიდებელ სასამართლოში არ შეგვქონდა. ეს დაამტკიცა დღევანდელმა სასამართლომ და გამოიტანა ეს გადაწყვეტილება, რაც გამოიტანა. ჩვენ დავის სამართლებრივი გზა ავირჩიეთ. ჩვენ გავაგრძელებთ დავას, გავასაჩივრებთ სააპელაციო სასამართლოში.

რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, იმ მტკიცებულებების ფონზე, რაც მთელი განხილვების განმავლობაში იყო, ის, რომ ხაინდრავას მოწმემ თვითონვე უარყო ხაინდრავას განცხადებები, მიუხედავად უამრავი მტკიცებულებისა, სასამართლომ მაინც მიიღო ეს გადაწყვეტილება, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ არ არის დამოუკიდებელი და გააგრძელა სახელისუფლებო ნარატივი არასამთავრობო ორგანიზაციების და მათ შორის, ეკა გიგაურის წინააღმდეგ.

თავიდანვე ეს განცხადებები მისი დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული და დღეს პრაქტიკულად სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით გააფორმა ამ ნარატივის გაგრძელება, – აღნიშნა ადვოკატმა.

თუ სხვა ინსტანციის სასამართლოებიც არ დააკმაყოფილებენ გიგაურის სარჩელს, ისინი დავას სტრასბურში განაგრძობენ.

– თუ ქართული სასამართლოები ვერ დადგებიან თავის სიმაღლეზე, ვერ მიიღებენ სწორ გადაწყვეტილებას და ვერ დაადგენენ ცილისწამებას, აუცილებლად წავიღებთ საქმეს სტრასბურში და გადაწყვეტს უფრო მაღალი ტრიბუნიდან სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლო, – განაცხადა ზაქარაშვილმა.

მკვლელობა ხორავას ქუჩაზე — დ.ღ. პატიმრობაში დატოვეს

30 ნოემბერს, ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე ცრუ ჩვენების მიცემის ბრალდებით დაკავებული არასრულწლოვნის, დ.ღ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა თბილისის საქალაქო სასამართლომ ძალაში დატოვა.

აღნიშნულს დ.ღ.-ს ადვოკატი, ფრიდონ სიხუაშვილი მოსამართლის მხრიდან კანონის დარღვევად აფასებს.

– კიდევ ერთხელ დაარღვია მოსამართლემ კანონის მოთხოვნები – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ბავშვთა უფლებათა კონვენცია, პეკინური წესები, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ბავშვი წინასწარ პატიმრობაში უკანონოდ იმყოფება და კვლავ უკანონოდ დატოვა და არ შეუცვალა აღკვეთის ღონისძიება.

სასამართლო კვლავ ასრულებს პროკურატურის დაკვეთას და სრულიად უკანონოდ ამყოფებს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს პატიმრობაში, – აცხადებს სიხუაშვილი.

მისი განმარტებით, სასამართლოში დაკითხულმა მოწმეებმა სასამართლოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ვერ მიაწოდეს.

– დღეს დაიკითხა 4 არასრულწლოვანი მოწმე, რომლებმაც საერთოდ არ იციან ფაქტების შესახებ. შემთხვევის ადგილზე არ ყოფილან და არ იციან, იქ რა მოხდა. ამ საქმეზე აუცილებლად დადგება გამამართლებელი განაჩენი და აუცილებლად მოვითხოვთ იმ ადამიანის პასუხისმგებლობას, ვინც მისი უკანონო დაპატიმრება მოახდინა, – აცხადებს სიხუაშვილი.

დ.ღ.-ს სისხლის სამართლის პროკურორმა, ბესიკ ქვარცხავამ, პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ სასამართლოში დაკითხულმა არასრულწლოვანმა მოწმეებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გააჟღერეს, თუმცა, ის დეტალებს არ აკონკრეტებს.

– დღევანდელ სხდომაზე დაიკითხა 4 მოწმე, რომლებმაც დაადასტურეს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალდების შინაარსთან.

დღევანდელ სხდომაზე სასამართლოს მხრიდან გადაისინჯა ბრალდებულის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის მართლზომიერების საკითხი, რა დროსაც სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პოზიცია და პატიმრობა ძალაში დატოვა, – აცხადებს ქვარცხავა.

ადვოკატი: „ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა“

ვანო მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა ყოფილი პრემიერის უფლებადამცველმა.

ადვოკატი მერაბიშვილისთვის დამატებითი გამოკვლევების ჩატარებასა და ზუსტი დიაგნოზის დასმას მოითხოვს.

გიორგი ჩივიაშვილი აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ვანო მერაბიშვილის სისხლის საერთო ანალიზში ლიმფოციტების ოდენობა არის მომატებული.

– მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არ იყო ჩატარებული სრულყოფილი კვლევა და არ იყო ზუსტი დიაგნოზი. სახალხო დამცველის აპარატმა ჩაატარა ექსპერტიზა.

მათ მოითხოვეს ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა სამედიცინო კვლევების შედეგად მიღებული. აღმოჩნდა, რომ ივანე მერაბიშვილისთვის ჩატარებული კვლევები არ იყო სრულყოფილი. სისხლის საერთო ანალიზში ლიმფოციტების ოდენობაა მომატებული. გაიცა რეკომენდაცია, რომ დამატებით ჩატარდეს გამოკვლევები. ექსპერტის თქმით, ლიმფოციტების მატება შეიძლება გამოწვეული იყო ვირუსით, რომელიც მერაბიშვილს ამ მომენტამდე აქვს.

არ ვიცით, რა გავლენას იქონიებს ეს ვირუსი მის ჯანმრთელობაზე ხვალ. მოვუწოდებთ იუსტიციის მინისტრს, დამატებითი გამოკვლევები ჩატარდეს და დაისვას ზუსტი დიაგნოზი, – განაცხადა გიორგი ჩივიაშვილმა.

„შვილების თვალწინ სახისა და თავის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი...“

ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს 2 წელი მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებული გ.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 11 სექტემბერს, ქალაქ ახმეტაში, ოჯახში ძალადობისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა გ.გ.-მ მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ – მ.მ.-ს, მისი არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით სახისა და თავის არეში რამდენჯერმე დაარტყა ხელი, რის შედეგადაც დაზარალებულმა დაზიანებები მიიღო.

სამართალდამცველებმა გ.გ. 2018 წლის 11 სექტემბერს ქ.ახმეტაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261 მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, რამაც ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით, არაერთგზის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ გ.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად, განაჩენთა ერთობლიობით, 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“ – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სენაკში მამაკაცს სახურავი დაეცა, აბაშაში ქარმა ხეები წააქცია

30 ნოემბერს სამეგრელოს მუნიციპალიტეტებში ძლიერმა ქარმა პრობლემები შექმნა. სენაკში მამაკაცს ქარისგან გადახდილი სახურავის ნაწილი დაეცა, რის გამოც მისი საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო.

მედიკოსების ინფორმაციით, დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

განსაკუთრებული ზიანი სტიქიამ აბაშის, ჩხოროწყუსა და ხობის მუნიციპალიტეტებს მიაყენა. აბაშის მერის ლევან მაკალათიას ინფორმაციით, ქარმა ადმინისტრაციულ შენობებს სახურავი გადახადა და ხეები წააქცია. საუბარია აბაშის პირველ საჯარო სკოლაზე და სოფელ მადანში საბავშვო ბაღზე.

საცხოვრებელ კორპუსსა და სახლს გადახადა სახურავი ქარმა ხობსა და ჭალადიდშიც.

ანაკლიის გამგებლის გელა ღემონჯავას ინფორმაციით, სტიქიის შედეგად მოგლეჯილია ხეები, დაზიანებულია ელექტროსადენები, ხოლო სანაპიროდან ქვიშა საცხოვრებელ სახლებში იყრება, რის შედეგადაც მოსახლეობას გარეთ გამოსვლა უჭირს. მისივე ინფორმაციით, ქარმა სახურავი ახადა განმუხურის ამფითეატრს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, ძლიერი ქარის გამო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონიდან 57 შეტყობინება მიიღეს.

ტრამპმა პუტინთან შეხვედრა გააუქმა

აშშ-ის სენატმა ქერჩის სრუტეში რუსეთის მოქმედება დაგმო

ტრამპმა გააუქმა პუტინთან შეხვედრა, რომელიც არგენტინაში დიდი ოცეულის სამიტზე უნდა შემდგარიყო.

– რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ აშკარა აგრესია განახორციელა! ის უკრაინელ მესაზღვრეებს თავს დაესხა, დაატყვევა, მათი გემები კი გაიტაცა! ასეთ ვითარებაში მისტერ პუტინთან შეხვედრას, ელემენტარულად, აზრი არა აქვს, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პუტინს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეხვდება, თუ რუსები დაკავებულ უკრაინელ მეზღვაურებს გაათავისუფლებენ, გემებს კი უკრაინას დაუბრუნებენ.

– სხვა შემთხვევაში შეხვედრა გამორიცხულია, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტის ასეთმა ნაბიჯმა კრემლის მტკივნეული რეაქცია გამოიწვია.

პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, ისედაც რთული საერთაშორისო

მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდებაო.

რუსული ინტელიგენციის წრეები აღშფოთდნენ.

– რადგან ამერიკელები ასე იქცევიან, რჩება ერთადერთი გამოსავალი, რუსეთ-ჩინეთის ალიანსი! ამის შემდეგ ამერიკას დავაჩოქებთ! – ამბობს ნიკიტა მიხალკოვი.

პუტინთან შეხვედრის ჩაშლით ვაშინგტონმა მოსკოვს ნათელი სიგნალი გაუგზავნა: უკრაინაში ინტერვენციის შემთხვევაში ახალი სანქციები გარდაუვალია. ასეთ სიტუაციაში რუსეთი ისეთი კოლოსალური ზარალის წინაშე აღმოჩნდება, რომ ინტერვენციას, უბრალოდ, აზრი ეკარგება.

აშშ-ის სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმადაც, ქერჩის სრუტეში მომხდარ ინციდენტზე პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთს ეკისრება. რეზოლუცია, რომელიც სენატორმა რესპუბლიკელმა ჯონსონმა მოამზადა, ერთხმად იქნა მიღებული. სახელობითი კენჭისყრისას მას მხარი დაუჭირეს როგორც რესპუბლიკელებმა, ასევე დემოკრატებმაც.

– ქერჩის სრუტეში მომხდარი ინციდენტი მთელი რეგიონის სტაბილიზაციას უქმნის საფრთხეს. ამაზე პასუხისმგებლობა მთლიანად რუსეთს ეკისრება, – ნათქვამია რეზოლუციაში.

ქერჩის სრუტეში დაკავებულ უკრაინელ მეზღვაურებს სევასტოპოლის სასამართლომ 2 თვით პატიმრობა მიუსაჯა. მეზღვაურები მოსკოვში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით ზუსტად არ არის დადგენილი, ყველა დაკავებული გადაიყვანეს მოსკოვში თუ მხოლოდ ნაწილი.

უცნობია იმ მეზღვაურთა ბედიც, რომლებიც რუსებთან შეტაკებისას დაიჭრნენ და ახლა ჰოსპიტალიზებულნი არიან.

მერკელი ავიაკატასტროფას გადაურჩა

მისი თვითმფრინავი კიოლნში ავარიულად დაეშვა

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის თვითმფრინავი ტექნიკური გაუმართაობის გამო კიოლნში ავარიულად დაეშვა.

გერმანიის კანცლერი არგენტინაში „დიდი ოცეულის“ სამიტზე დასასწრებად მიემგზავრებოდა, როდესაც ნიდერლანდების საჰაერო სივრცეში ყოფნისას ეკიპაჟმა უკან დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო.

თვითმფრინავი კიოლნში დაეშვა, სადაც გერმანიის კანცლერი სხვა ავიალაინერზე გადაჯდა.

ავღანეთში თალიბანზე ავიადარტყმას 23 სამოქალაქო პირი ემსხვერპლა

ავღანეთში რადიკალურ მოძრაობა „თალიბანზე“ ავიადარტყმას 23 სამოქალაქო პირი ემსხვერპლა.

ამის შესახებ ინფორმაციას ავღანეთში გაეროს მისია ავრცელებს.

– წინასწარი მონაცემები იმაზე მეტყველებს, რომ ჰელმანდის პროვინციაში ოპერაციის დროს, ავიადარტყმისას, რომელსაც პროსამთავრობო ძალები თალიბანის წინააღმდეგ ახორციელებდნენ, 23 სამოქალაქო პირი დაიღუპა, 3 კი დაშავდა, – ნათქვამია გაეროს მისიის განცხადებაში.

დაღუპულთა შორის უმეტესობა ქალი და ბავშვია.

მსოფლიო საპატრიარქომ ერთიანი უკრაინული ავტოკეფალიური ეკლესიის წესდება დაამტკიცა

სტამბოლში მსოფლიო საპატრიარქოს წმინდა სინოდის სხდომა შედგა. მან მომავალი ერთიანი უკრაინული ეკლესიის წესდება დაამტკიცა.

ითქვა ისიც, რომ ამ ეკლესიას კონსტანტინეპოლის საპატრიარქო ავტოკეფალიას მიანიჭებს. ტომოსის ტექსტიც უკვე მზად არის.

დეკემბერში სრულიად უკრაინის გამაერთიანებელი საეკლესიო კრება გაიმართება. მან საფუძველი უნდა ჩაუყაროს ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნას და დაამტკიცოს მისი წესდება.

ამის შემდეგ მსოფლიოს საპატრიარქო ამ ეკლესიას ავტოკეფალიას მიანიჭებს.

ინდონეზიაში ციხიდან 113 პატიმარი გაიქცა

ინდონეზიაში, სუმატრას კუნძულზე, აჩეხის პროვინციაში, ციხიდან 113 პატიმარი გაიქცა. პატიმრებმა ფანჯრების გისოსების გამომტვრევა შეძლეს. პატიმრების გაქცევას წინ უძღოდა ციხეში მომხდარი ბუნტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა მაიამიში ინებივრა

რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერმა ლებედევმა ამომრჩევლებთან შეხვედრას აშშ-ში დასვენება ამჯობინა.

„რეგიონულ კვირაში“, როცა ამომრჩევლებს უნდა შეხვედროდა, ის მაიამიში გაემგზავრა. ლებედევმა ფეისბუკში გამოაქვეყნა ფოტოები, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ დასეირნობს ის კატერით, ქეიფობს ქალებში და ა.შ.

– ამერიკაში კარგად დავისვენე, – წერს ლებედევი.

მთვრალმა „ზევსის შვილმა“ ონკოდისპანსერში გაისეირნა

რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკის ნასვამმა მცხოვრებმა, რომელიც საკუთარ თავს „ზევსის შვილს“ უწოდებს, ონკოდისპანსერში ფანჯრიდან შეაღწია, რის შემდეგაც პოლიციამ დაიჭა.

სერგეი გლუხოვმა მედიმის ფორმა ჩაიცვა და მთელი საათის განმავლობაში პალატებში დადიოდა, ესაუბრებოდა ავადმყოფებს. ის ამ ყოველივეს ვიდეოზე იღებდა. ამასთან, არც ექიმები და არც მნახველები მომხდარით არ დაინტერესებულან.

მას შემდეგ, რაც „ზევსის შვილმა“ საავადმყოფოდან გასასვლელს ვერ მიაგნო, ფანჯრიდან მინა-პაკეტის ამოღებას შეეცადა და მხოლოდ ამის შემდეგ მიიქცია ყურადღება. ის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. იქ მან განმარტა, რომ ეს ყოველივე სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდის რეკლამისთვის გააკეთა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ინგლისში დერბებია

სტატისტიკა, ფსონები

მშვენიერი უქმეები... მარტო ინგლისში 2 დერბია – ლონდონური და მერსისაიდული. ლონდონში არსენალი საკუთარ სტადიონზე ტოტენჰემს მიიღებს, ხოლო ლივერპული შინ დაუხვდება ევერტონს.

კარგი მატჩი უნდა გამოდგეს გერმანიაში ლაიპციგი-გლადბახი, ხოლო იტალიაში რომა და ინტერი გაარკვევენ ურთიერთობას. მოკლედ, არ მოვიწყენთ...

ინგლისი

01.12 ჰადერსფილდი-ბრაიტონი	2.4	3.0	3.3
01.12 სიტი-ბორნმუთი	1.11	9.5	21.0
01.12 ნიუკასლი-ვესტ ჰემი	2.45	3.25	3.0
01.12 კრ.პალასი-ბარნლი	1.6	3.75	6.5
01.12 ლესტერი-უოტფორდი	2.25	3.25	3.4
01.12 საუთჰემპტონი-მანჩესტერი	4.33	3.6	1.85
02.12 ჩელსი-ფულემი	1.18	7.5	15.0
02.12 არსენალი-ტოტენჰემი	2.55	3.4	2.7
02.12 ლივერპული-ევერტონი	1.36	5.0	8.5

ჰადერსფილდი-ბრაიტონი

ჰადერსფილდი: ***ტრავმ***-კრის ლავი

ბრაიტონი: ***ტრავმ***-ალიზერა ჯაჰანბაკში, დევი პროპერი, პასკალ გროსი

სიტი-ბორნმუთი

სიტი: ***ტრავმ***-ბენჯამინ მენდი, ნიკოლას ოტამენდი, კლაუდიო ბრავო

ბორნმუთი: ***ტრავმ***-ადამ სმიტი

ნიუკასლი-ვესტ ჰემი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-პოლ დამერტი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-რაიან ფრედერიკი, ანდრეი იარმოლენკო, კარლოს სანჩესი

კრ.პალასი-ბარნლი

კრ.პალასი: ***ტრავმ***-კონორ უიკჰემი

ბარნლი: ***ტრავმ***-ჯეიმს ტარკოვსკი, სტივენ ვარდი

ლესტერი-უოტფორდი

ლესტერი: ***ტრავმ***-ჰარი მაგუაირი, დანიელ ამარტეი

უოტფორდი: ***ტრავმ***-დარილ იანმაატი

საუთჰემპტონი-მანჩესტერი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

მანჩესტერი: ***ტრავმ***-არავინ

ჩელსი-ფულემი

ჩელსი: ***ტრავმ***-არავინ

ფულემი: ***ტრავმ***-კევინ მაკდონალდი, ზამბო ანგუისა

არსენალი-ტოტენჰემი

არსენალი: ***ტრავმ***-დანი უელბეკი, ნაჩო მონრეალი, ლორენ კოშიელნი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-დავიდსონ სანჩესი, კირონ ტრიპიერი, მუსა დემბელე, დანი როუზი

ლივერპული-ევერტონი

ლივერპული: ***ტრავმ***-ადამ ლანანა

ევერტონი: ***ტრავმ***-ანდრე გომესი

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	13	11	2	0	40:5	35
2.ლივერპული	13	10	3	0	26:5	33
3.ტოტენჰემი	13	10	0	3	23:11	30
4.ჩელსი	13	8	4	1	28:11	28
5.არსენალი	13	8	3	2	28:16	27
6.ევერტონი	13	6	4	3	20:15	22
7.მანჩესტერი	13	6	3	4	20:21	21
8.ბორნმუთი	13	6	2	5	22:18	20
9.უოტფორდი	13	6	2	5	17:17	20
10.ლესტერი	13	5	3	5	18:17	18
11.ვულვზი	13	4	4	5	12:15	16
12.ბრაიტონი	13	4	3	6	14:19	15
13.ნიუკასლი	13	3	3	7	11:16	12
14.ვესტ ჰემი	13	3	3	7	14:22	12
15.ჰადერსფილდი	13	2	4	7	8:22	10
16.კრ.პალასი	13	2	3	8	8:17	9
17.ბარნლი	13	2	3	8	13:27	9
18.საუთჰემპტონი	13	1	5	7	10:24	8
19.კარდიფი	13	2	2	9	11:26	8
20.ფულემი	13	2	2	9	14:33	8

ესპანეთი

01.12 სელტა-უესკა	1.65	4.0	5.25
01.12 ვალიადოლიდი-ლეგანესი	2.37	3.0	3.4
01.12 ხეტაფე-ესპანიოლი	2.4	3.0	3.3
01.12 რეალი-ვალენსია	1.44	4.6	7.0
02.12 ბეტისი-სოსიედადი	2.25	3.25	3.3
02.12 ხირონა-ატლეტიკო	5.5	3.4	1.75
02.12 ბარსელონა-ვილიარეალი	1.22	6.5	13.0
02.12 ალავესი-სევილია	3.75	3.6	2.0
03.12 ლევანტე-ბილბაო	2.7	3.3	2.6

სელტა-უესკა

სელტა: ***ტრავმ***-უგო მალო, ფრან ბელტრანი, გუსტავო კაბრალი, სტანისლავ ლობოტკა, მატიას იენსენი

უესკა: ***ტრავმ***-გონსალო მერელო, ლუიზინიო

ვალიადოლიდი-ლეგანესი

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-კიკო, ხავი მოიანო, ივი ლოპესი

ლეგანესი: ***ტრავმ***-მაიკლ სანტოსი, ეზეკიელ მუნიოსი

ხეტაფე-ესპანიოლი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ბრუნო, მარკელ ბერგარა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ნალდო

ხეალი-ვალენსია

რეალი: ***ტრავმ***-ნაჩო, კაზემირო, კეილორ ნავასი

ვალენსია: ***ტრავმ***-დენის ჩერიშევი

ბეტისი-სოსიედადი

ბეტისი: ***ტრავმ***-არავინ

სოსიედადი: ***ტრავმ***-რაულ ნავასი, ასირ ილიარამენდი, ლუკა სანგალი

ხირონა-ატლეტიკო

ხირონა: ***ტრავმ***-ადაი ბენიტესი

ატლეტიკო: ***ტრავმ***-დიეგო გოდინი, ხუანფრანი, ხოსე ხიმენესი

ბარსელონა-ვილიარეალი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ივან რაკიტიჩი, ფელიპე კოუტინიო, ტომას ვერმალენი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ალვარო

ალავესი-სევილია

ალავესი: ***ტრავმ***-ტომას პინა

სევილია: ***ტრავმ***-ხესუს ნავასი, მაქსიმ გონალოსი

ლევანტე-ბილბაო

ლევანტე: ***ტრავმ***-ხოსე კამპანა, სამუ გარსია, ხოსე მორალესი, სერხიო პოშტიგო, ჩეიკ დაკური, რუბენ როჩინა, ანტონიო ლუნა

ბილბაო: ***ტრავმ***-იური ბერჩიჩე, მიკელ რიკო, იერაი ალვარესი

სატურნირო ცხრილი:

1.სევილია	13	8	2	3	25:14	26
2.ბარსელონა	13	7	4	2	35:19	25
3.ატლეტიკო	13	6	6	1	17:9	24
4.ალავესი	13	7	2	4	17:13	23
5.ესპანიოლი	13	6	3	4	17:13	21
6.რეალი	13	6	2	5	20:19	20
7.ხირონა	13	5	5	3	16:15	20
8.სოსიედადი	13	5	4	4	17:15	19
9.ლევანტე	13	5	3	5	20:21	18
10.ეიბარი	13	5	3	5	15:18	18
11.ვალენსია	13	3	8	2	11:9	17
12.ხეტაფე	13	4	5	4	12:11	17
13.ვალიადოლიდი	13	4	5	4	9:10	17
14.ბეტისი	13	4	4	5	13:17	16
15.სელტა	13	3	5	5	23:22	14
16.ვილიარეალი	13	3	5	5	13:14	14
17.ლეგანესი	13	3	4	6	10:16	13
18.ბილბაო	13	1	8	4	14:20	11
19.რაიო	13	1	4	8	14:28	7

გერმანია

01.12 ჰანოვერი-ჰერტა	2.7	3.4	2.55
01.12 დორტმუნდი-ფრაიბურგი	1.28	5.5	10.0
01.12 შტუტგარტი-აუგსბურგი	2.55	3.3	2.75
01.12 ვერდერი-ბაიერნი	7.5	5.0	1.38
01.12 ჰოფენჰაიმი-შალკე	1.8	3.9	4.0
02.12 ლაიპციგი-გლადბახი	1.91	3.9	3.6
02.12 აინტრახტი-ვოლფსბურგი	1.78	3.7	4.4
03.12 ნიურნბერგი-ლევერკუზენი	4.33	3.9	1.75

ჰანოვერი-ჰერტა

ჰანოვერი: ***ტრავმ***-უოლესი, ილჰას ბებუ, პირმინ შვეგლერი, ფელიპე

ჰერტა: ***ტრავმ***-ხავაირ დირლოსუნი, ნიკლას შტარკი, მაქსიმილიან მიტელშტადი, კარიმ რეკიკი, ლუკას კლუნტერი

დორტმუნდი-ფრაიბურგი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-მარსელ შმელცერი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ნიკოლას ჰოფლერი, როლანდ სალაი, ლუკას კუბლერი

შტუტგარტი-აუგსბურგი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ჰანს საპრეი, ჰოლგერ ბადშტურბერი, ბერკაი ოზკანი, ბორნა სოსა, დანიელ დიდავი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-ფელიქს გიოტცე, იან მორავეკი

ვერდერი-ბაიერნი

ვერდერი: ***ტრავმ***-ფილიპ ბაგფრეიდი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხამეს როდრიგესი, ტიაგო ალკანტარა, კორენტინ ტოლისო, კინგსლი კომანი

ჰოფენჰაიმი-შალკე

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-ფლორიან გრილიტჩი

შალკე: ***ტრავმ***-ბრეელ ემბოლო, მარკ უტი, ჰამზა მენდილი

ლაიპციგი-გლადბახი

ლაიპციგი: ***ტრავმ***-ემილ ფორსბერგი

გლადბახი: ***ტრავმ***-კრიშტოფ კრამერი

აინტრახტი-ვოლფსბურგი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მარკ სტენდერა, ალანი, ლუკას ტორო

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-მარსელ ტისერანდი

ნიურნბერგი-ლევერკუზენი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ენრიკო ვალენტინი, ედუარდ ლოუვენი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	12	9	3	0	35:13	30
2.გლადბახი	12	8	2	2	30:14	26
3.აინტრახტი	12	7	2	3	29:14	23
4.ლაიპციგი	12	6	4	2	22:10	22
5.ბაიერნი	12	6	3	3	23:17	21
6.ჰოფენჰაიმი	12	6	2	4	27:18	20
7.ვერდერი	12	5	3	4	20:20	18
8.ჰერტა	12	4	5	3	19:20	17
9.ვოლფსბურგი	12	4	3	5	16:17	15
10.მაინცი	12	4	3	5	11:14	15
11.ფრაიბურგი	12	3	5	4	16:20	14
12.ლევერკუზენი	12	4	2	6	18:24	14
13.აუგსბურგი	12	3	4	5	20:21	13
14.შალკე	12	4	1	7	13:17	13
15.ნიურნბერგი	12	2	4	6	13:29	10
16.ჰანოვერი	12	2	3	7	15:26	9
17.ფორტუნა	12	2	3	7	13:28	9
18.შტუტგარტი	12	2	2	8	8:26	8

იტალია

01.12 სპალი-ემპოლი	2.45	3.25	3.0
01.12 ფიორენტინა-იუვენტუსი	5.8	3.8	1.63
01.12 სამპდორია-ბოლონია	1.91	3.4	4.33
02.12 მილანი-პარმა	1.38	4.75	8.5
02.12 ტორინო-ჯენოა	1.75	3.6	5.0
02.12 სასუოლო-უდინეზე	1.91	3.5	4.2
02.12 ფროზინონე-კალიარი	3.1	3.2	2.4
02.12 კიევო-ლაციო	8.0	4.4	1.44
02.12 რომა-ინტერი	2.75	3.4	2.55
03.12 ატალანტა-ნაპოლი	3.4	3.5	2.15

სპალი-ემპოლი

სპალი: ***ტრავმ***-ფრანჩესკო ვიკარი, გაბრიელ მონჩინი

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ

ფიორენტინა-იუვენტუსი

ფიორენტინა: ***ტრავმ***-გერმან პეზელა, რიკარდო სოტილი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ფედერიკო ბერნანდესკი, სამი ხედირა, ემრე ჯანი

სამპდორია-ბოლონია

სამპდორია: ***ტრავმ***-კაროლ ლინეტი

ბოლონია: ***ტრავმ***-დებასტიან დე მაიო, ორჯი ოკვონკვო

მილანი-პარმა

მილანი: ***ტრავმ***-ალესიო რომანიოლი, გონსალო იგუაინი, მატეო მუსაჩიო, ჯაკომო ბონავენტურა, ლუკას ბილია

პარმა: ***ტრავმ***-ანტონიო დი გაუდიო, მასიმო გობი, ფედერიკო დიმარკო

ტორინო-ჯენოა

ტორინო: ***ტრავმ***-ტომას რინკონი

ჯენოა: ***ტრავმ***-ნიკოლა დალ მონტე, ანდრეა ფავილი

სასუოლო-უდინეზე

სასუოლო: ***ტრავმ***-კლოდ აჯაპონგი, ჯერემი ბოგა

უდინეზე: ***ტრავმ***-ანტონინ ბარაკი, ლუკაშ თეოდორჩუკი

ფროზინონე-კალიარი

ფროზინონე: ***ტრავმ***-სტიპე პერიცა, ემილ ჰალფრედსონი, ლუკა მატარეზე

კალიარი: ***ტრავმ***-სიმონე პადოინი, პაოლო ფაგარო

კიევო-ლაციო

კიევო: ***ტრავმ***-ემანუელ ჯიაჩერინი, პაველ იაროზინსკი, ნიკოლა რიგონი, მანუელ პუჩიარელი, ნენად ტომოვიჩი

ლაციო: ***ტრავმ***-ლუკას ლეივა, რიზა დურმისი

რომა-ინტერი

რომა: ***ტრავმ***-ხავიერ პასტორე, კოსტას მანოლასი, დიეგო პეროტი, დანიელე დე როსი

ინტერი: ***ტრავმ***-დალბერტ ენრიკე, სიმე ვრშალკო, მარსელო ბროზოვიჩი

ატალანტა-ნაპოლი

ატალანტა: ***ტრავმ***-მუსა ბაროუ

ნაპოლი: ***ტრავმ***-სიმონე ვერდი

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	13	12	1	0	28:8	37
2.ნაპოლი	13	9	2	2	26:13	29
3.ინტერი	13	9	1	3	25:10	28
4.ლაციო	13	7	2	4	19:15	23
5.მილანი	13	6	4	3	22:17	22
6.პარმა	13	6	2	5	14:16	20
7.რომა	13	5	4	4	22:16	19
8.სასუოლო	13	5	4	4	21:19	19
9.ატალანტა	13	5	3	5	25:17	18
10.ფიორენტინა	13	4	6	3	18:10	18
11.ტორინო	13	4	6	3	17:15	18
12.სამპდორია	13	4	4	5	17:16	16
13.ჯენოა	13	4	3	6	18:27	15
14.კალიარი	13	3	6	4	12:16	15
15.სპალი	13	4	1	8	11:21	13
16.უდინეზე	13	3	3	7	12:18	12
17.ემპოლი	13	3	3	7	15:23	12
18.ბოლონია	13	2	5	6	11:18	11
19.ფროზინონე	13	1	4	8	10:28	7
20.კიევო	13	0	4	9	10:30	1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

საფრანგეთი

01.12 ლილი-ლიონი	2.8	3.3	2.5
01.12 მონაკო-მონპელიე	2.62	3.25	2.7
01.12 ანჟე-კაენი	1.73	3.6	5.0
01.12 გენგამი-ნიცა	2.75	3.2	2.6
01.12 ნიმი-ამიენი	1.95	3.3	4.0
02.12 ტულუზა-დიჟონი	2.0	3.4	3.75
02.12 მარსელი-რეიმსი	1.38	4.6	8.5
02.12 რენი-სტრასბური	1.7	3.75	4.8
02.12 ბორდო-პსჟ	10.0	5.5	1.28

ლილი-ლიონი

ლილი: ***ტრავმ***-ადამა სუმარო, ტიაგო მენდესი, ფოდე ბალო-ტურე

ლიონი: ***ტრავმ***-ჯერემი მორელი, ლეო დუბოსი

მონაკო-მონპელიე

მონაკო: ***ტრავმ***-ჯორდი მბულა, ალმანი ტურე, ჟან აჰალოუ, კამილ გლიკი, სტევან იოვეტიჩი, ადამა ტრაორე, ანდრეა რაგი, კევინ ნდორამი, პიეტრო პელეგრი, რონი ლოპესი

მონპელიე: ***ტრავმ***-კიგან დოლი

ანჟე-კაენი

ანჟე: ***ტრავმ***-არავინ

კაენი: ***ტრავმ***-ფრედერიკ ჯილბერტი, აამა მბენგუე, ენცო კრიველი, რომან გენევო

გენგამი-ნიცა

გენგამი: ***ტრავმ***-ლუდოვიკ ბლაზი, რონი, ლუკას დო, ნოლან რო

ნიცა: ***ტრავმ***-მუზაინ მალიდა, რასინ კოლი, მიშელ ლე ბიანი

ნიმი-ამიენი

ნიმი: ***ტრავმ***-სადა ტიობი, ლიოკ ლანდრე, ფაიტო მუასა

ამიენი: ***ტრავმ***-პრინს გუანო, აბდულ ადენონი, მუსა კონატე, კევინტინ კორენტე, ბონგანი ზუნგუ

ტულუზა-დიჟონი

ტულუზა: ***ტრავმ***-იანიკ კაუზაკი, სტივენ ფორტესი, შტეფან მბია, ჟანკლერ ტობიდო, იბრაჰიმ სანგანე, იაია სანოგო

დიჟონი: ***ტრავმ***-სენო კულიბალი, ბენჯამინ იანო, ფლორენ ბალმო, იოან გურკუფი

მარსელი-რეიმსი

მარსელი: ***ტრავმ***-ლუის გუსტავო

რეიმსი: ***ტრავმ***-მარვინ მარტინი, ტრისტან დინომე

რენი-სტრასბური

რენი: ***ტრავმ***-არავინ

სტრასბური: ***ტრავმ***-ჯერემი გრიმი, ლიონელ კალორი, კენი ლალა, ანტუან კაკი, ანტუან გონშალვეში

ბორდო-პსჟ

ბორდო: ***ტრავმ***-სერხი პალენსია

პსჟ: ***ტრავმ***-სტენლი ნსოკი

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	14	14	0	0	46:7	42
2.ლიონი	14	8	3	3	24:16	27
3.მონპელიე	14	7	5	2	22:10	26
4.ლილი	14	8	2	4	21:12	26
5.მარსელი	14	8	1	5	27:22	25
6.სტ.ეტიენი	14	6	5	3	19:18	23
7.ნიცა	14	7	2	5	12:14	23
8.რეიმსი	14	5	5	4	10:13	20
9.სტრასბური	14	4	6	4	20:17	18
10.ნანტი	14	4	5	5	21:19	17
11.ნიმი	14	4	5	5	19:20	17
12.ბორდო	14	4	5	5	14:15	17
13.ანჟე	14	4	4	6	18:20	16
14.რენი	14	4	5	5	18:21	17
15.ტულუზა	14	3	5	6	11:22	14
16.ამიენი	14	4	1	9	14:24	13
17.კაენი	14	2	6	6	11:17	12
18.დიჟონი	14	3	3	8	12:23	12
19.მონაკო	14	2	4	8	13:22	10
20.გენგამი	14	1	4	9	10:30	7

ანტონ ფეიქრიშვილი მეშვიდე ქართველი ბარბაროსია

კარდიფ ბლუზის ქართველი ბურჯი ანტონ ფეიქრიშვილი მეშვიდე ქართველი მორაგბე გახდება, რომელიც ლეგენდარული ბრიტანული კლუბის, ბარბაროსების ღირსებას დაიცავს.

ბარბაროსები მე-19 საუკუნის მიწურულს დაარსებული კლუბია, რომელმაც პირველი თამაში 1890 წელს გამართა. მას შემდეგ ეს კლუბი პერიოდულად კრებს მსოფლიოს წამყვან მოთამაშეებს და წელიწადში ერთხელ, ან ორჯერ თამაშობს. ის შავ-თეთრი ზოლიანი მაისურებით თამაშობს და მორაგბეები მოედანზე თავიანთი კლუბების წინდებით გადიან.

სარაგბო ტრადიციების მიმდევარი, მუდამ ღაღად მობურთალი ბარბაროსები 2006 წელს საქართველოსაც ეწვივნენ და „მიხეილ მესხზე“ ბორჯღალოსნების წინააღმდეგ ითამაშეს. მატჩი სტუმრებმა 28:19 მოიგეს, ქართველი მორაგბეებით მოიხიბლნენ და მაშინვე თქვეს, რომ მათ საკუთარ რიგებში აუცილებლად იხმობდნენ.

პირველი ქართველი, რომელმაც ამ კლუბის შავ-თეთრი მაისური მოირგო, დავით ქუბრიაშვილია, 2011 წლის 29 მაისს მან ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა, ხოლო 4 ივნისს უელსის ნაკრებსაც დაუპირისპირდა. იმავე წელს, მსოფლიო თასის შემდეგ, ბარბაროსებში დავით კაჭარავამ და გოდერძი შველიძემ იბურთავეს, ხოლო 2012-ში ამ კლუბში უკვე მამუკა გორგოძეს უხმეს, ვისაც ირლანდიასთან და უელსთან მოუწია დაპირისპირება. 2013 წელს ქუბრიაშვილსა და გორგოძეს უნდა ეთამაშათ, მაგრამ კლუბის შეკრებაზე მათი ჩასვლა ვერ მოხერხდა. 2014-ში გამოძახებულთა შორის კვლავ იყვნენ ქუბრიაშვილი და გორგოძე. ორივემ ითამაშა ინგლისის წინააღმდეგ – ბარბაროსებმა 39:29 მოიგეს და მათი ერთ-ერთი ლელო საკუთარ ანგარიშზე გორგოძემ ჩაიწერა. ეს ლელო ჯერჯერობით ერთადერთი ქართული ლელოა ბარბაროსებში.

2014-ის შემოდგომის ტესტებისთვის ბარბაროსებში დათო ზირაქაშვილსა და მიხეილ ნარიაშვილს უხმეს, მაგრამ პირველის კლუბს თამაშები ჰქონდა, მეორეს ხელი სავიზო პრობლემებმა შეუშალა და ბარბაროსებში ვერ მოხვდნენ. 2015 წელს რჩეულთა შორის კოტე მიქაუტაძე აღმოჩნდა, ვინც კლუბს ზაფხულის ტურნეში გაჰყვა.

2-წლიანი პაუზის შემდეგ, ბარბაროსების მაისური მიხეილ ნარიაშვილმა მოირგო და ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა.

დღეს ბარბაროსები ლონდონში არგენტინის ნაკრებს ხვდებიან და ბრიტანული კლუბის მაისურს ამჯერად 31 წლის ფეიქრიშვილი მოირგებს. ცნობილმა სამხრეთ აფრიკელმა სპეციალისტმა რის ერესმუსმა ის მარქაფაში გაამწესა.

ფეიქრიშვილი 2007 წლიდან საფრანგეთში თამაშობდა და აჟენის, კასტრის, ბრივისა და ბეიონის ღირსებას იცავდა, 2016 წლიდან კი, პრო 14-ის უელსურ კლუბ კარდიფს შეუერთდა.

ფეიქრიშვილმა ბორჯღალოსნების კვართი პირველად 2008 წელს მოირგო და დღემდე ჩატარებულ 26 მატჩში 7 ლელო გაიტანა. 2015 წლის მსოფლიო თასზე მან მსოფლიოს ჩემპიონის, ახალი ზელანდიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

ჰონგ კონგში სექსთოჯინების ბორდელი დახურეს

ჰონგ კონგში სექსთოჯინების პირველი ბორდელი მისი მფლობელის დაკავებისა და იქ ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ დახურეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

დაწესებულება სექტემბერში გაიხსნა. მისი მომხმარებლები 480 ჰონგკონგურ დოლარს იხდიდნენ სექსთოჯინასთან ტელევიზორიან ნომერში ერთი საათის გატარებაში, რომელშიც პორნოს აჩვენებდნენ. მსურველებს ასევე შეეძლოთ, თოჯინა 18-დან 30 ათასამდე ჰონგკონგურ დოლარად შეეძინათ.

ბორდელით სამართალდამცავი ორგანოები ერთ-ერთ გამოცემაში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ დაინტერესდნენ. დაწესებულებაში ჩხრეკა ჩატარდა, რის შემდეგაც ტელევიზორებისა და პორნოგრაფიაჩაწერილი ფლეშკების კონფისკაცია განხორციელდა., ასევე ამოღებულ იქნა 18 სხვადასხვა ამორალური ნივთი. სექსთოჯინები ამ სიაში არ მოხვედრილა და ისინი ადგილზე დატოვეს.

ბორდელის მფლობელი დააპატიმრეს, თუმცა გირაოს გადახდის შემდეგ მალევე გაათავისუფლეს. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ის ეჭვმიტანილია კანონების დარღვევაში, რომლებიც შიშველი სექსთოჯინების გაყიდვასა და პორნოგრაფიის დემონსტრირებას კრძალავს. გარდა ამისა, მას არც ლიცენზია აქვს, რომელიც 28 დღეზე მეტი ხნით შენობის გაქირავების უფლებას იძლევა.

საქორწინო წამებას გაქცეული სიძე მანქანის ქვეშ მოყვა

ჩინური საქორწინო რიტუალი დასრულდა ავტოსაგზაო შემთხვევით, რომლის შედეგადაც სიძემ მძიმე ტრავმები მიიღო.

24 წლის აი გუანტაოს მეგობრებმა თავი პატარძლის სახლში მისი ქორწილის დღეს მოიყარეს და მას სხვადასხვა ნივთების, მათ შორის კვერცხების სროლა დაუწყეს, ასხამდნენ ღუდსა და მელანს, შემდეგ კი განათების ბოძზე მიაბეს და ბამბუკის ჯოხებით დაუწყეს ცემა. ითვლება, რომ ეს ყოველივე საზეიმო ატმოსფეროს შექმნას ემსახურება.

სიძემ ასეთ წამებას ვერ გაუძლო და პატარძლის სახლიდან გაიქცა, მაგრამ მეგობრებმა მოახერხეს და დაეწიენენ.

– საცოდაობა იყო მისი ყურება, – ყვება სიძის დეიდა, – ის გზის პირას ჩიხში მიიმწყვდიეს, გასაქცევი არსად ჰქონდა, მაგრამ დანებებას არ აპირებდა, ამიტომ ღობეზე გადაძვრა და გზის სავალ ნაწილზე გავარდა.

როდესაც გუანტაო გზაზე აღმოჩნდა, მას ავტომობილი დაეჯახა. ახალგაზრდა მამაკაცი საავადმყოფოში თავის ქალის ძვლების მოტეხილობებითა და ტვინში სისხლის ჩაქცევით მიიყვანეს.

მეგობრები, რომლებიც ამ ყოველივეში მონაწილეობდნენ, აღიარებენ, რომ მომხდარში მათი ბრალიც არის. მათ გუანტაოს სამკურნალოდ ექვსი ათას იუანზე მეტი შეაგროვეს. სიძის ნათესავებს მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დაუყენებიათ.

სიძის მიმართ ასეთი ქმედება ქორწილის დღეს ძველ ჩინურ ტრადიციას წარმოადგენს. ზოგჯერ რიტუალში, რომელიც ავი სულების განდევნას ემსახურება, პატარძალსა და სიძის მშობლებსაც ითრევენ. იმისთვის, რომ ზეიმი არ ჩაიშალოს, ისინი ამ ყოველივეს ითმენენ.

გამყიდველის შეცდომა ამერიკელს გამდიდრებაში დაეხმარა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ გოლდსბოროს მცხოვრებმა ლატარიაში მსხვილი გამყიდველის შეცდომის წყალობით მოიგო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას გადასცეს არა ის ბილეთი, რომელიც მან მოითხოვა.

ზერინეია კარმაიკლი ავტოგასამართ სადგურზე კვირას მივიდა. სანამ ის ბენზინის საფასურს იხდიდა, გადაწყვიტა, სწრაფი ლატარიის „კაროლინა პანტერსის“ ბილეთი შეეძინა, მის მაგივრად კი გამყიდველმა სხვა ლატარიის ბილეთი სახელწოდებით „777“ მისცა.

– ჩვეულებრივ, მე შენაძენის გამოცვლას ვითხოვ, მაგრამ ამ ჯერზე თითქოსდა რაღაცამ მიკარნახა, რომ ეს ბილეთი დამეტოვებინა, – განაცხადა ქალმა.

კარმაიკლი მანქანაში ჩაჯდა და დამცავი შრე გადაფხიკა.

– თავდაპირველად მეგონა, რომ სულ შვიდი დოლარი მოვიგე, მაგრამ გადაფხეკა გავაგრძელე და კიდევ ორი შვიდიანი დავინახე, შემდეგ – კიდევ ორი. შოკში აღმოვჩნდი, როდესაც მივხვდი, თუ რამდენი მქონდა მოგებული. მიხარია, რომ ამ შემთხვევაში გამყიდველი შეცდა, – აღიარა კარმაიკლმა.

მოგებულმა თანხამ 277.777 დოლარი შეადგინა, თუმცა გადასახადების გადახდის შემდეგ კარმაიკლს მხოლოდ 195.837 დოლარი დარჩა. ის აპირებს, მოგებული ფულით თავისი ოცნების მანქანა – ახალთახალი თეთრი ტოიოტა კოროლა იყიდოს.

ასტროპროგნოზი

1 დეკემბრისათვის

ვერძი – პროვოკაციული დღეა. ერიდეთ სხვის საქმეში ჩარევას, თორემ გაუგებრობაში გაეხვევით. **კურო** – ნუ იაქტიურებთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. ბუნებასთან რაც შეიძლება ახლოს იყავით. **ტყუპები** – მერკურის რეგრესული მოძრაობა ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. დღის პირველ ნახევარში პარტნიორებისგან მცირე უსიამოვნებას ელოდეთ. **კირჩხიბი** – კოლეგებთან პატარა კონფლიქტია მოსალოდნელი. მოვლენებზე მტკივნეულ რეაგირებას ნუ მოახდენთ. **ლომი** – ახლობელ ადამიანთან პრეტენზიების გამოხატვას ერიდეთ, თორემ სკანდალს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს დღე მარტომ გაატაროთ. **ქალწული** – სერიოზულ პროვოკაციებს თავს ვერ დააღწევთ. საკუთარი აზრის გამოხატვისას ძალიან იფრთხილეთ. **სასწორი** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საღამოს ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. ნეგატიური აზრები უკუაგდეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **მშვილდოსანი** – საკუთარი ძალების რწმენა და საქმიანი აქტივობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. მატერიალური მდგომარეობაც გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – ერიდეთ პროვოკაციებს, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას. საკუთარი პრობლემებით დაკავდით. **მერწყული** – დაწყებული საქმე კონკრეტულ რეზულტატამდე მიიყვანეთ. ბავშვების მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. **თევზები** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის.

2 დეკემბრისათვის

ვერძი – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** – საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიბი** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **ღრიანკალი** – ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სულსწრაფი სტუდენტის თავმა ნათურის ფორმა მიიღო

პარიზელმა სტუდენტმა ისაუბრა ალერგიულ რეაქციაზე, რომელიც მასში თმის საღებავმა გამოიწვია.

19 წლის ესტელმა სუპერმარკეტში შავი ფერის თმის საღებავი იყიდა. ინსტრუქციის მიხედვით, მისი მოხმარების მსურველი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მას ალერგია არ ჰქონდა საღებავში შემავალ პარა-ფენილენდიამინზე. გოგონამ საღებავთან ერთად შეძენილი ტესტით ისარგებლა, მაგრამ იჩქარა და 48 საათის ნაცვლად შედეგს მხოლოდ 30 წუთი დაელოდა, ამის შემდეგ კი საღებავით ისარგებლა.

მალე თავის ზედა ნაწილში ქავილი დაეწყო. დილისთვის თავის გარშემოწერილობა 56-დან 63 სანტიმეტრამდე გაეზარდა.

– შუბლის მოცულობა ორჯერ გამეზარდა, – ყვება გოგონა, – ჩემი თავი ნათურას დაემსგავსა.

დედამ ქალიშვილი საავადმყოფოში მიიყვანა, მაგრამ იქ მას მხოლოდ წამალი მისცეს და სახლში გაუშვეს.

მეორე დღისთვის ესტელის მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად გაუარესდა. მას სულის ხუთვა დაეწყო, ენა დაუსივდა და გულისცემა აუჩქარდა. გოგონა ამჯერად სხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ მას ადრენალინის ინექცია გაუკეთეს. მან ღამე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გაატარა და მეორე დღეს გაეწერა.

გამოჯანმრთელების შემდეგ ესტელმა ფეისბუქში სელფების სერია გამოაქვეყნა, რომელზეც ალერგიული რეაქციის განვითარება იყო აღბეჭდილი.

ბრიტანელის ფეხმძიმობა 26-კილოგრამიანი კისტა აღმოჩნდა

ბრიტანეთის ქალაქ სუონსის (უელსი) მცხოვრები ქალბატონი რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ ამჩნევდა საკვერცხის უზარმაზარ კისტას და უბრალოდ თავს მსუქნად მიიჩნევდა, ექიმები კი არწმუნებდნენ, რომ ფეხმძიმედ იყო. კილი ფაველმა ჯერ კიდევ 2014 წელს შენიშნა, რომ თანდათან წონაში იმატებდა. მაშინ მას ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიუცია, ვინაიდან თავს სიმსუქნისადმი მიდრეკილად თვლიდა. ის ჯანსაღ კვებაზე გადავიდა და ვარჯიში დაიწყო, მაგრამ მუცელი კვლავაც აგრძელებდა ზრდას.

– ის ისე ნელა იზრდებოდა, რომ დარწმუნებული ვიყავი, უბრალოდ, წონაში ვიმატებდი, – განმარტა ფაველმა.

მუცლის ზრდასთან ერთად, მას ეჭვი გაუჩნდა, რომ ბავშვს ელოდებოდა, მაგრამ ფეხმძიმობის სამმა ტესტმა უარყოფითი შედეგი აჩვენა. მალე ფაველმა სამსახურში ყოფნის დროს გონება დაკარგა, რის შემდეგაც თერაპევტს მიმართა. მან უთხრა, რომ გონების დაკარგვა სტრესის გვერდითი მოვლენაა და წამლები გამოუწერა. ექიმის განმარტებით უკმაყოფილო ფაველმა მას ჰკითხა, ეს ყოველივე მის მუცელს ხომ არ უკავშირდებოდა.

ექიმმა ფეხმძიმედ ყოფნა იეჭვა და რამდენჯერმე ჩააბარებინა სისხლის ანალიზი. როდესაც ყველა შედეგი უარყოფითი გამოდგა, ექიმმა ის ულტრაბგერით გამოკვლევაზე გააგზავნა, რის დროსაც ექიმებმა ქალის მუცელში საკვერცხის უზარმაზარი კისტა აღმოაჩინეს. ამ წარმონაქმნის ამოკვეთის ოპერაციას ხუთი საათი დასჭირდა. ექიმებმა ფაველის ორგანიზმიდან 26-კილოგრამიანი კისტა ამოიღეს, რომელსაც ქალმა ხუმრობით მისტერ უილი შეარქვა. ასევე მას მარჯვენა საკვერცხეც ამოჰკვეთეს, თუმცა ექიმები ირწმუნებიან, რომ ამან მას დედად გახდომაში ხელი ვერ უნდა შეუშალოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 2. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 3. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 4. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 5. რბილი ფერადი ფანქრები ფერწერისთვის; 8. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 9. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 12. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 14. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 16. კანიონი ხონის რაიონში.

თარაზულად: 1. მცენარეთა დაცვა მავნებელი მწერებისგან შხამქიმიკატების შეფრქვევით; 6. აზრის არაპირდაპირ, იგავურად გამოხატვა მხატვრულ ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში; 7. ნაწყვეტი რომანიდან, კინოფილმიდან; 9. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 10. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 13. პროფესიონალი ცხენოსანი; 15. პოპულარული ქართული სიმღერა; 17. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 18. იაპონური ელექტროტექნიკური ფირმა; 19. ქართული ტელეკომპანია; 20. მზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩუბინი; 2. აკრი; 3. მარასკინი; 4. ცაიში; 5. ჭინჭარი; 8. დიბალა; 9. ხაბიზგინა; 12. ჩაროზი; 14. გვრინი; 16. აპოლო.

თარაზულად: 1. ჩოხატაური; 6. რამაზანი; 7. ბაიდარა; 9. ხორავა; 10. ლირა; 11. ზაგრები; 13. ბიგლი; 15. საფარა; 17. მიუსერა; 18. პომპეო; 19. ირონია; 20. რომანსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გელათი; 2. გენი; 3. გერიატრია; 4. დიქტი; 5. დარჯაკი; 8. დიზელი; 9. დარბაზობა; 12. ბაიათი; 14. ბორნეო; 16. ომეგა.

თარაზულად: 1. გარპაგონი; 6. გეორგიკა; 7. ლონდონი; 9. დოლიძე; 10. ჯიდა; 11. მერკური; 13. ტიბრი; 15. კაზინო; 17. ფაიზერი; 18. კალაძე; 19. სოკერი; 20. პალანგა.

ზაზა სავჩუკის გარდაცვალების მიზეზი გაყინვა გახდა

მეტროს მუსიკოს ზაზა სავჩუკის გარდაცვალების მიზეზი გაყინვა გახდა. ამის შესახებ შოთო სიხარულიძემ გაავრცელა ინფორმაცია:

– გარდაიცვალა ყველასთვის კარგად ნაცნობი ქუჩის მუსიკოსი სამირ სავჩუკი (ზაზა). თბილისის მეტროსადგურებში და მიწისქვეშა გადასასვლელებში ხშირად შეამჩნევდით ახალგაზრდა, გამორჩეული გარეგნობის მამაკაცს, სწორი შავი თმებითა და ჭრელი თვალებით, რომელიც გიტარაზე უკრავდა და გამვლელებისთვის მღეროდა. ბოლო 15 წლის განმავლობაში სამირ სავჩუკი ქუჩაში დაკვრით ირჩენდა თავს.

გზა მშვიდობისა, სამირ... მანდ მშვიდად იქნები – არც ზამთარი შეგაწუხებს, არც სიცივე, არც ხალხი...

დილით ნახეს საწოლში გაყინული....

„შოთო სიხარულიძე ქართველი ემიგრანტები“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს ოჯახსა და ახლობლებს...

შეგახსენებთ, უსინათლო მარი სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ისიც ვაგზალზე მღეროდა და ისიც შოთო სიხარულიძის ემიგრანტების არხის ექსკლუზივი იყო....

სამირ სავჩუკი (ზაზა) მღეროდა სიყვარულზე და ყველას მოუწოდებდა სიყვარულისკენ, ვერ იტანდა უსამართლობას! „ნათელში იყოს მისი სული, გამიკვირდა, ეს დღეები არ ჩანდა, მივხვდი, რომ მას რაღაც მოუვიდა, ძალიან ბევრი რამ მახსოვს და შემიძლია ვთქვა მასზე... ვინც მას ჩაგრავდა, რა ნამუსითა და გულით შეძლებთ ცხოვრებას! თქვენი მიყენებული ტკივილი მას მიწაში ჩაჰყვა!“ – წერენ გარდაცვლილის ახლობლები.

სამირ სავჩუკს ძალიან ტრაგიკული ისტორია ჰქონდა. 4 წლის ასაკში დედამ მიატოვა – კიევის ერთ-ერთ შენობაში, მერვე სართულზე დატოვა და წავიდა. პატარა ბიჭი ბავშვთა სახლში აღმოჩნდა, საიდანაც საქართველოში წამოიყვანეს ჭიათურაში მცხოვრებმა ცოლქმარმა. მისი დედობილი – რუსი, მამობილი კი უკრაინელი იყო. თუმცა, არც მათთან ჰქონია ბედნიერი ცხოვრება ბიჭს – როგორც თავად ყვებოდა გია ჯაჯანიძის „სხვა რაკურსში“, ის მათთვის არა შვილი, არამედ მონა იყო.

15 წლის ასაკში სამირი თბილისში გადავიდა დედობილთან ერთად საცხოვრებლად, მამობილმა კი ოჯახი მიატოვა. მოგვიანებით ის მარტო გადავიდა საცხოვრებლად და ქირით თბილისის სხვადასხვა უბანში ცხოვრობდა. რამდენიმე წლის წინ, სამირს ერთ-ერთ მეტროსადგურში გამვლელებმა სასტიკად სცემეს. მძიმე დაზიანებების შედეგად ქუჩის მუსიკოსს სუნთქვის პრობლემა შეექმნა.

– ეეე, როგორი ვიყავი და ახლა რას ვგავარ, ბოროტებმა რა მიქნეს, ჯანმრთელობითაც ვეღარ ვარ კარგად. ეს არის ჯოჯოხეთი. ეგეთ სიცოცხლეს სიკვდილი მინდა. უსამართლობაა ყველაფერი. ადამიანობა დაიკარგა... ბევრი რამ შეიძლება ითქვას... – ამბობდა მუსიკოსი.

სალომე ბაკურაძე მოგებული ფულით ობოლ ბიჭს გაახარებს

მომღერალმა სალომე ბაკურაძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ ფული მოიგო. მოგებული თანხით მომღერალმა გადაწყვიტა, ობოლი ბიჭი გაახაროს და დახმარებისთვის მეგობრებს მიმართა.

სალომე ბაკურაძე:

– მეგობრებო, თქვენი დახმარება მჭირდება, ძირითადად ტექნიკისა თუ კომპიუტერულ მაღაზიებთან დაახლოებულო მეგობრებო, ვისაც შეღავათები და განსაკუთრებული წინადადებები შეგიძლიათ. „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ გადაცემაში მოვიგე ფული და ამ ფულით გვინდა გავაბედნიეროთ ერთი ძალიან ნიჭიერი ბიჭი, უდედმამოდ დარჩენილი, რომელიც შესანიშნავად ხატავს და არ აქვს სათანადო ინვენტარი ხატვისთვის, მოლბერტი, საღებავები და ასე შემდეგ, ასევე ვუყიდო ლეპტოპი, ეს მისი უდიდესი სურვილია. იქნებ ვინმემ დამაკვალიანოს, სად შეიძლება ვიყიდო ადამიანურ ფასში ნორმალური ლეპტოპი.

სტეფანეს სიმღერისთვის აკრიტიკებენ

31 დეკემბერს კაჭრეთში მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი კონცერტს გამართავს. აფიშების გამოჩენამ საზოგადოებაში გაღიზიანება გამოიწვია და სტეფანე სიმღერისთვის გააკრიტიკეს, ნუ მღერი, რა დროს სიმღერაა, ხალხს უჭირსო.

სტეფანე:

– ახალი შემოსევა მაქვს, „რა გემღერებაო“. აბა, მე ექიმი არ ვარ, ჰოსპიტალში ვიმუშაო და რა პროფესიას შემომთავაზებთ ჩემს ასაკში?

ამირან შალიკაშვილი მახათას პანთეონში დაკრძალეს

საქართველოში პანტომიმის ჟანრის ფუძემდებელი და პანტომიმის თეატრის დამაარსებელი ამირან შალიკაშვილი მახათას პანთეონში დაკრძალეს.

სამოქალაქო პანაშვიდი პანტომიმის თეატრში გაიმართა. უკანასკნელ გზაზე იგი მეგობრებმა, კოლეგებმა, პოლიტიკოსებმა და რიგითმა მაყურებლებმა გააცილეს.

ამირან შალიკაშვილი 79 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

მან შექმნა არაერთი დაუვიწყარი სპექტაკლი და საქართველო თავისი განუმეორებელი შემოქმედებით მსოფლიოს გააცნო. მისი მოწაფეები დღეს მთელ მსოფლიოში მოღვაწეობენ და ქართულ პანტომიმას კიდევ უფრო მეტად პოპულარულს ხდიან.

გერმანიაში მოღვაწე ქართველმა მსახიობებმა, ამირან შალიკაშვილის ყოფილმა მოწაფეებმა უჩა ბირკაძემ, ზვიად ჯაოშვილმა და ეკატერინე რობაქიძემ პედაგოგის ხსოვნას სპექტაკლი მიუძღვნეს.

ამირან შალიკაშვილი უმცროსი:

– მამა, სპექტაკლით „შექსპირის სონეტები“ დაგემშვიდობები და ერთს დაგპირდები: ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ შენი თეატრი ისეთი იყოს, როგორიც შენ გინდოდა! ბევრს მეუბნებოდი, რომ შენ რომ არ იქნებოდი, ძალიან გამიჭირდებოდა, იმასაც მეუბნებოდი, რა მოხდებოდა შენი სიკვდილის შემდეგ! მაგრამ მხოლოდ მე ვიცი, შენ რა გინდოდა, მხოლოდ მე ვიცი, შენ რა შექმენი, 22 წელი შენ გვერდით გავატარე სცენაზე და ზუსტად ამ მძიმე წლებში გვერდში გედექი, ამდენი ტკივილი ერთად გადავიტანეთ! გეხვეწებოდი, არ დამტოვო მარტო, რადგან ძალიან მეშინია ამხელა ტვირთის აღება, რადგან ვიცი, მე რაც მელოდება წინ! შენი საიდუმლო მხოლოდ მე ვიცი, საიდუმლო, რომელიც ამ თეატრს გადაარჩენს! რაც დამიტოვე ანდერძად, ძალიან დიდი ტვირთია, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს ტვირთი ვატარო და შენი გადაწყვეტილება გავამართლო! მხოლოდ ჩემში დაინახე ამ საქმის გაგრძელება და მადლობა ამხელა ნდობისთვის! მე გავამართლებ შენს გადაწყვეტილებას და გპირდები, თუ ახლა შემჭამეს, მოვა დრო, როდესაც შენი თეატრი აღორძინდება! მე მაინც ავაშენებ თეატრს და მაინც აგისრულებ ნატვრას! მიყვარხარ ძალიან და ძალიან მაკლიხარ!

გიგი ლორია, *პანტომიმის მსახიობი:*

– მოიგონო, შეთხზა სცენური სამყარო, ერთი პროფესიაა. შექმნა სივრცე, დააარსო თეატრი და ჟანრი შენს ქვეყანაში, სადაც რეალურად შეუყვარდებათ, დაუმეგობრდებიან ან შესძულდებათ... თანაც, რეალური ცხოვრებიდან აღებულს, შეთხზულ ამბებს გააცოცხლებენ, ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. თეატრი, რომელსაც 50 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი, კიდევ დიდხანს იცოცხლებს მისი სახელის უკვდავსაყოფად და, იმედია, ოდესმე ახდება მის სიცოცხლეში აუხდენელი ოცნება და პანტომიმის თეატრს ექნება საკუთარი შენობა. მადლობა, მაესტრო, ყველაფრისთვის!

პაატა ციქურიშვილი, *პანტომიმის თეატრის მსახიობი, სითეტეკ თეატრის დამაარსებელი აშშ-ში:*

– დიდ გულისტკივილს გამოვთქვამ ჩემი საყვარელი პედაგოგის, დიდი რეჟისორის, მენტორისა და ჩემი შემოქმედებითი მშობლის, ბატონი ამირან შალიკაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ეს იყო პიროვნება, რომელმაც შექმნა ეპოქა და აღზარდა თაობები. მისი შემოქმედებითი ფესვები მთელ მსოფლიოშია გადგმული. მე და ჩემი მეუღლე ირინა ციქურიშვილი მადლიერების გრძნობით ვამაყობთ დიდი მაესტროს შეგირდობით და გულისტკივილით ვუსამძიმრებთ ოჯახს, თეატრსა და ახლობლებს ამ ბრწყინვალე პიროვნების გარდაცვალებას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული იმიერ ქვეყანაში, დანატოვარმა კი დიდხანს იცოცხლოს დიდი მაესტროს სადიდებლად.

ლაშა ჩხარტიშვილი, *თეატრმცოდნე:*

– სამწუხაროა ამირან შალიკაშვილის გარდაცვალება. მან შექმნა ქართული პროფესიული პანტომიმა და გააცნო ის მსოფლიოს, დაიმკვიდრა ადგილი სათეატრო სივრცეში, როგორც თვითმყოფადმა ხელოვნებამ. ამირან შალიკაშვილის გარდაცვალებით დასრულდა ქართული პანტომიმის თეატრის მნიშვნელოვანი ეტაპი. ეპოქა, რომელსაც ამირან შალიკაშვილი ქმნიდა თანამოაზრეებთან ერთად, იყო ქართული სათეატრო ხელოვნების ოქროს ხანა. ამირან შალიკაშვილი ქართული საბჭოთა ავანგარდული თეატრის გამორჩეული წარმომადგენელი იყო.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ექიმმა პაციენტს ფილტვებში შემთხვევით სარეცხი საშუალება ჩაუსხა

ბრიტანეთის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ სოლფორდში ექიმის მიერ დაშვებული შეცდომის გამოძიება მიმდინარეობს, რომლის შედეგადაც პაციენტის ფილტვებში სარეცხი საშუალება მოხვდა. ინციდენტი 2017 წლის სექტემბერში მოხდა. 68 წლის უილიამ ჰანა საავადმყოფოში მძიმე ტრავმებით შევიდა, რომლებიც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიიღო. მეორე დღეს ის რეანიმაციულ განყოფილებაში გადაიყვანეს და ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის მოწყობილობაზე შეაერთეს. მალე მას სასუნთქი გზების ინფექცია აღმოუჩინეს.

სუნთქვის შესამსუბუქებლად ჰანას სამკურნალო ბრონქოსკოპია ესაჭიროებოდა – სამედიცინო პროცედურა, რომლის დროსაც ფილტვებში მცირე რაოდენობით ფიზიოლოგიური ხსნარი შეჰყავთ. პროცედურის მომზადების დროს შეცდომა იქნა დაშვებული და პაციენტს სამედიცინო მოწყობილობების სტერილიზაციისთვის განკუთვნილი ხსნარი შეუყვანეს. ჰანას ამის გამო სასწრაფო ოპერაციის გაკეთება დასჭირდა. რამდენიმე დღეში ის გარდაიცვალა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, სარეცხი საშუალება ინახებოდა ბოთლში, რომელსაც ეტიკეტი არ ჰქონდა და რომელიც ჩვეულებრივ ასეთი საშუალებების შესანახ ჭურჭელს აქვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

შაბათს, 2018 წლის 1 დეკემბერს, დიდი გულისტკივილითა და ღრმა მწუხარებით ვაცილებთ სამარადჟამო სამყოფელისკენ ქ.თბილისის №19 ხელოვნების სკოლის ფლეიტის კლასის ღვაწლმოსილ, გამორჩეულ პედაგოგს

ზაქარია პირმისაშვილს

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგებისა და მოსწავლეების გულში.

მე-19 ხელოვნების სკოლის თანამშრომლები

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული, ლენინის სახელობის სტიპენდიანტი, ყოფილი თბილისის სახელმწიფო კოოპერაციული ინსტიტუტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, მრავალი შრომის ავტორი, არაჩვეულებრივი მეგობარი, ღირსეული მოქალაქე, თავისი საქმის პროფესიონალი, კეთილშობილი ადამიანი, ბატონი

ბონდო სულაქველიძე

უფალმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მის სპეტაკ სულს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ. მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება სტუდენტებში, კოლეგებსა და მეგობრებში. ვუსამძიმრებთ მის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ტურიზმის სკოლა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 დეკემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6611

ევრო — 3.0102

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3937

100 რუსული რუბლი — 3.9914

ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისთვის

საქართველოს ისტორია პატარებისთვის 3 ნაწილად

ეს სამი წიგნი მოგვითხრობს საქართველოს გმირულ წარსულსა და დიდ მამულიშვილებზე, საარაკო ბრძოლებსა და საოცარ ამბებზე, რაც კი საქართველოს გადახდენია

4 დეკემბრიდან

ნაწილი I

ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი

I წიგნი მოიცავს პერიოდს ქვის ხანის ადამიანიდან ქვეყნის გაქრისტიანებამდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

18 დეკემბრიდან



ნაწილი II

თამარს უამბო დედამა...

II წიგნი ასახავს ჩვენი წარსულის ოქროს ხანას, მანამდე და მის შემდგომ პერიოდს მე-17 საუკუნემდე.

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

25 დეკემბრიდან

ნაწილი III

ბაზალეთისა ტბის ძირას...

III წიგნი მოგვითხრობს ერეკლე მეფის ზეობასა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე დღემდე.



ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

ბოკა-რივერი 9 დეკემბერს სანტიაგო ბერნაბეუზე გაიმართება

რივერ პლეიტის და ბოკა ხუნიორსის განმეორებითი შეხვედრა 9 დეკემბერს, სანტიაგო ბერნაბეუზე გაიმართება. ეს გადაწყვეტილება ოფიციალურია.

ამ ორი გუნდის პირველი შეხვედრა 2:2 დასრულდა და განმეორებითი მატჩი რივერის სტადიონზე უნდა გამართულიყო, თუმცა მატჩი გადაიდო, რადგან ბოკა ხუნიორსის ავტობუსს ქვები დაუშინეს, რის გამოც ორმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო.

ამის გამო რივერ პლეიტი დაისაჯა და განმეორებითი შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე გაიმართება. თბილისის დროით მატჩი 23.30 საათზე დაიწყება.

მოამზადა ბექა გოგისაშვილმა

იუმორი

ფსიქიატრიულთან ჩავლილ მათემატიკოსს გიჟები აბრაზებენ, ემანჭებიან, ენას უყოფენ, უყვირიან.

მათემატიკოსმა დაუყვირა:

– გაჩერდით, თორემ ახლავე ყველას გაგაწარმოებთ!

გიჟები უცბად გაჩუმდნენ და შეშინებული მიაჩერდნენ, თუმცა ერთ არ ჩერდება, ისევ ემანჭება, ენას უყოფს და დაუძახა:

– მე არ მეშინია, ვერაფერსაც ვერ მიზამ!

– რატომ?

– იმიტომ, რომ მე-ხარისხად-იქსი ვარ!

•••

სახლში დაბრუნებულმა ცოლმა ჩანთიდან ლუდის ბოთლები, შებოლილი თევზი, კიბორჩხალები ამოიღო და ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ტელევიზორი გადართე ფეხბურთი იწყება!

– მაგრადაა?

– ბამპერი და კაპოტი...

•••

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

– ძვირფასო, სად ხარ?

– სამსახურში.

– კი მაგრამ, იქ დავრეკე და მიპასუხეს, აქ არ არისო!

– ოჰ!... წავსულვარ უკვე...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– რასაც ჩვენი პოლიტიკოსები ლაპარაკობენ, ნახევარი სულ ტყუილია!

– შენ გინდა თქვა, რომ მეორე ნახევარი სიმართლეა?

– რა თქმა უნდა, ის, რასაც ერთმანეთზე ლაპარაკობენ!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– წარმოგიდგენიათ, ჩვენთან სამსახურში პოლიტიკაზე ლაპარაკი აგვიკრძალეს!

– და სად მუშაობთ?

– პარლამენტში.

•••

უფროსი ხელქვეითს ეუბნება:

– რატომ აგვიანებთ სამსახურში?

– და თქვენ რატომ გვიგვიანებთ ხელფასს?

– კი მაგრამ, ხომ მაინც იღებთ.

– ჰოდა, მეც ხომ მაინც მოვედი.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– არა, ძმაო, უცნაური ხალხი ვართ, ძალიან უცნაური...

– რაზე ამბობ?

– ბიჭო, მთავრობა ამდენ რამეს დაგვპირდა, მაგრამ ხალხს მაინც ეცოტავება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

სანჩესს მანჩესტერ იუნაიტედიდან წასვლა სურს

მანჩესტერ იუნაიტედის ჩილელ ფორვარდს იანვარში გუნდის დატოვება სურს, რადგან მას მოურინიოსთან დაძაბული ურთიერთობა აქვს და ზოგადად მას არ გამოსდის ამ გუნდში კარგად თამაში.

სანჩესის მომავალი კლუბი, სავარაუდოდ, პსჟ იქნება, სადაც ალექსისი ადრეც აპირებდა გადასვლას, თუმცა ეს ტრანსფერი მაშინ ჩაიშალა.

ამჯერად ყველაფერი გაცილებით რეალურია. თვითონ ალექსისი ჯერჯერობით ამ საკითხზე საუბარს ერიდება, თუმცა ფაქტია, რომ მან მანჩესტერში კარიერა ვერ აიწყო.

კევინ დე ბრუინე ისევ ტრავმირებულია

მანჩესტერ სიტის ბელგიელი ნახევარმცველი კევინ დე ბრუინე ისევ ტრავმირებულია და ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის დაბრუნდება ის მოედანზე.

კევინი 8 დეკემბერს უნდა გამოსულიყო მოედანზე ჩელსის წინააღმდეგ, მაგრამ სიტის ექიმებმა მას უარი უთხრეს, რადგან დე ბრუინე ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა.

ხოსეპ გვარდიოლას თქმით, დე ბრუინეს არყოფნა მანჩესტერ სიტისთვის დიდი დანაკლისია, თუმცა მისი გუნდი მაინც კარგ შედეგებს აჩვენებს.

ბელგიელმა ნახევარმცველმა წლევანდელ სეზონში ჯერჯერობით მხოლოდ 5 შეხვედრა ჩაატარა.

ისკო შესაძლოა ნაპოლის ფეხბურთელი გახდეს

მადრიდის რეალის ნახევარმცველი ისკო ალკორკონი შესაძლოა იტალიური ნაპოლის ფეხბურთელი გახდეს.

ბოლო პერიოდში ისკოს რეალში იშვიათად ათამაშებენ, თან მას კონფლიქტი მოუვიდა გუნდის მთავარ მწვრთნელ სანტიაგო სოლარისთან, ამიტომ ლოგიკურია, რომ მას გუნდიდან წასვლა სურს. ისკოს მიმართ ინტერესი გამოიჩინა ნაპოლიმ, რომლის მწვრთნელს კარლო ანჩელოტის ძალიან უნდა ისკოს თავის გუნდში ხილვა.

რეალი მზად არის, ისკო 70 მილიონად გაყიდოს.

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. ტკბილი კარტოფილი; 2. მრგვალი წითელი ფერის შავწინწკლებიანი მწერი; 3. ბრუნვის სიჩქარის გასაზომი ხელსაწყო; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ერაყის ნავსადგური; 5. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 8. ზომიერი კლიმატური სარტყლის სახელწოდება ჩრდილო ამერიკაში; 9. სოკოების შემსწავლელი ბოტანიკის ნაწილი; 12. ქართველი ავტომრბოლელი; 14. ძალზე მტკიცე მინერალი – ძვირფასი ქვა; 16. იაპონიაში ყველაზე დიდი აეროპორტი.

თარაზულად: 1. თამარ მეფის დედის სახელი; 6. ფინური ხალხური ეპოსი; 7. ცხვრის ტყავისგან შეკერილი ზედა მოსაცმელი; 9. ღვთისმშობლის სახელწოდება კათოლიკებში; 10. საქონლის ჩლიქებისა და ფაშვისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 11. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 13. პურეული მცენარე; 15. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 17. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 18. სოფელი ლანჩხუთის რაიონში; 19. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 20. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა